წელიწადი მეოთხე. № 3. ფასი 20 კაპ.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.



ШИНААРСИ:

1. სიმღერა, ლექსი, აკაკისა.
2. აკაკის უკანასკნელი დღეები, ანეტა იურკევიჩის ქალისა.
3. ზეპირ სიტყვაობის გამო, აკაკისა.
4. აკაკი უნივერსიტეტში, ს. გორგაძისა.
5. მოკვდა აკაკი, ლექსი, გ. ალისა.
6. მოგონება, სერგ. ბახტაძისა.
7. აკაკი, ლექსი, სიმ. წეველისა.
8. თ. აკაკი წერეთლის თხზულებანი გ. თუმანიშვილისა.
9. მგოსნის აკაკი წერეთლის ვეცხლის და ოქროს ნივთების შეძენა.
10. ბიბლიოგრაფია, ხომლელისა.
11. [illegible]
12. კრიტიკული დახასიათება, ხომლელისა.
13. ცოტა რამ აკაკიზე, გორგისა.
14. აკაკი წერეთელი, კიტა აბაშიძისა.
15. რედაქციისგან.
16. შენიშვნები, კირილე წუთისოფლელისა.

1 თებერვალი 1916 წ.

ქუთაისი

სტამბა „ძმობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და საშეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება“-ზე,

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას
რედაკტორობით.

ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ.
წლიურათ ჟურნალი ეღირება 5 მ., ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით
1 მ. და 10 შ., თვიურათ 10 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც
შეუძლიათ.

ირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ.
ა ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ თო-
ალაზიაში, ჭიათურაში—პლატონ კილასო-
ა კოპალეიშვილთან, ფოთში—კოწია გამ-
„ანთიადის“ კანტორაში და ბაქოში—მეთო-
ღე კაკაბაძესთან.

ოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману
донович Панцхава.

ცხოვრება № 3.

1 თებერვალი. 1916 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

სიმღერა*)

დაგვიზამთრდა, სუსხმა დაგვკრა,
ტკბილ ტაროსი შეგვეცვალა
და უწყალო ქარიშხალმაც
აორკეცა თვისი ძალა!...

—

ვინც თვის ტომის ტყავისაგან
შეიკერა ქურქი თფილი,
მას სიცივე კერას ავნებს
და ცხოვრებაც ელის ტკბილი.

—

მარა, რა ქნას, ვისაც ამ გზით
არ უკერავს სამოსელი,
სიცივე რო მიადგება
და შიმშილი კუჭის მწველი!

ჯობს მიბაძოს იმან მერცხალს:
სიცივეს, თუ შეუშინდეს,
გაეშუროს დასავლეთით,
ფთა გაშალოს, გადაფრინდეს.

—

საზდო მიცეს სულსა და გულს,
მით სურვილი დაიმწიფოს;
და, როს ზამთრის შეუპოვრათ
თვისი ღონე მოიკრიფოს,

—

მაშინ ისევ გადმოფრინდეს,
აჭიკჭიკდეს, ვით მერცხალი,
რო სხვებმაც თქვან: „გაზაფხული,
ახლო არი მომავალი!„

—

დე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგკვრას,
ქარიშხალმაც გვბეროს ველით,
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს-კი მოველით!

აკაკი.

*) ეს ლექსი დაწერილია 80-იან წლებში, ხელმწიფე ალექსანდრე II მოკვლის შემდეგ, როცა რუსეთში საშინელი რეაქცია გამეფდა.

რედ.

აკაკის უკანასკნელი დღეები.

ბევრი, ძალიან ბევრი, გონებიდან განუშორებელი, მოგონებანი მაერთებენ აკაკის ძვირფას სახელთან. ბავშობიდანვე ღრმათ აღბეჭდილია გულში ამ დიდებული ადამიანის ღვთაებრივი სახე...

თუ მის სახლში ყოფნა, თუ მოგზაურობა მასთან ერთად, თუ ის დაუვიწყარი ხანა, როცა იგი ჩემთან და ერთ ჩვენს ნათესავს მოსწავლე ახალგაზდასთან მეცადინობდა და გვიხსნიდა „ვეფხის ტყაოსანს“—მარა ამაზე შემდეგ.

ამ პატარა წერილში მინდა მკითხველებს გავუზიარო მხოლოთ ის, რაც იმის უკანასკნელ დღეებს შეეხება.

დავიწყებ აქიდან. ახალწელიწადს აკაკისთან წავედით. თუმცა მგლოვიარეთ ვიყავით ერთ იმის ნათესავ ყმაწვილზე, რომელიც იმ დღეებში უნდა მოესვენებიათ ბძოლის ველიდან. და, რომლის გმირულათ დაღუპვა, ისე მიიცვალა აკაკი, რო ვერ გაუმხილეთ, მარა ჩვენ ყველანი მხიარულათ შევედით მასთან და მივულოცეთ ახალი წელი.

მანაც ჩვეულებისამებ ყველა გადაგვკოცნა, ტირილი დაიწყო და გვითხრა:

—“ვკვდები„-ო.

გულშემზარავ ჩაბეჭდილებას ტოვებდა ის,

რო მარცხენა მხარე მას დადუმებული ქონდა, მისი ბასრი ენა თავისუფლათ ველარ მეტყველებდა, მუდამ ჩვეულებრივი შარავანდედით მოსილი, იგი ამ მდგომარეობაშიაც შვენიერი იყო. პირველი სიტყვები, რომელთაც მან იმ დღეს მომმართა, შემდეგი იყო:

—„იცოდეთ—აქ დამშარხეთ“ —ო.

რამდენიმე ხნის განმავლობაში, მოუშორებლივ მასთან დავრჩი.

მრავალი მნახველი მოდიოდა. მარა ყველას შესვლა მასთან შეუძლებელი იყო, ვინაიდან იგი მეტათ ღელავდა და იმეორებდა: „მეთხოვებიან“-ო. ხშირათ მაკითხებდა თავის თხზულებას, განსაკუთრებით-კი, უკანასკნელს პოემას „ომს“, რომლის ბედიც მას, ჩანდა, მეტათ აშფოთებდა, თითქოს ეშინოდა, რომ იგი ჩვეულებრივ ჩაბეჭდილებას ვერ მოახდენდა.

კარგათ ვგძნობდით, რა საშიშ მდგომარეობაშიაც იყო ჩვენი სიამაყე. სიყვარულით, პატივსცემით ვეხვიეთ მას გარს, რომ არ დაგვენებებია იგი წყეული სიკვდილისთვის. ყოველ დღე დადიოდა მასთან საჩხერის საავათმყოფოს გამგე, მკურნალი ჭოლოშვილი, რომელიც 13 იანვრიდან, სამსახურის გამო, იძულებული გახდა, ძვირფას სარეცელს მოშორებოდა.

მგოსნის ახლო ნათესავნი: დაი კნ. ანნა, რძლები მარიამ და ნანო წერეთლისანი, მოგვარეები და მეზობლები მზრუნველობით დატრიალებდენ თავს, მარა არ შემიძლია განსაკუთრებით არ ავნიშნო კოტე აბდუშელიშვილი თვისი მეუღლით და აკაკის ერთგული მსახური, სპირიდონ ზაბახიძე. დღითი-დღე აკაკის უკეთობა დაეტყო, იგი უფრო გარკვევით ლაპარაკობდა, ხშირათ თავისებურათ ოხუნჯობდა და ჩვენც იმედი მოგვეცა..ველოდით იმის ვაჟს და დისწულს, კნეინა ანნა დადიშქელიანისას.

ქართველ მოღვაწეთა შორის, პირველმა ინახულა იგი იაკობ ფანცხავამ, რომელსაც მოუთმენლათ მოელოდა და რომლის მოსვლამაც იგი დიდათ ასიამოვნა. ასე რო, ჩვენ ხშირათ ვეხუმრებოდით კიდეც, რომ „იაკობი საუკეთესო მკურნალი აღმოჩდა“...

შემდეგ, ინახულეს იგი მისმა საყვარელმა გრიგოლ დიასამიძემ, მგოსანმა რუხაძემ და სხვ.

მახსოვს ერთი საღამო.

მგოსნის სარეცელთან ვისხედით: გ. დიასამიძე, ვ. რუხაძე, კ. აბდუშელიშვილი, აკაკის ვაჟი ალექსი და მე.

აკაკიმ მთხოვა, „ომი“ წაიკითხეო. მეც დავიწყე კითხვა.

იგი გულაღმა იწვა, მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოედო და გატაცებით მისმენდა. გავათავე... სიჩუმე ჩამოვარდა... მან ყველას სათითაოდ მიაპყრო თვისი დიდრონი თვალები, თითქოს უნდოდა თითოულის სახეზე იმოეკითხა რამე და, ხოლოს, წამოილაპარაკა:

—„ძალიან კეფერები, მარა ვაი, თუ ამ მოფერებიდანაც არა გამოვიდეს.რა“-ო.

დაუვიწყარია ჩემთვის კიდევ ერთი საღამო. მგოსნის პატარა ოთახში მხოლოთ მე და კნ. მარიამი ვართ. მე თავით უზივარ, კნ. კი ცოტა მოშორებით ზის. აკაკი მიმითითებს სახატეზე და მეუბნება: „აქ ჩემი ნაწერებია, გამოიღე და წამიკითხე რამე“-ო. მეც ბევრი რამ წავუკითხე იმ ღამეს და, სხვათა შორის, „გამზრდელის“ კითხვა დავიწყე.

როდესაც დასასრულს მივუახლოვდი და ეს ტაეპი წავიკითხე:

მარა უსუფ ეუბნება:

—შენ სიკვდილის, რა დირსი ხარ?!

სასიკვდილო მე ვარ მხოლოთ,

რო კაცათ ვერ გამიზდიხარ“,—

საყვარელმა მოძღვარმა ქვითინი დაიწყო.

ვინ გამოიცნობს ამ ძვირფასი ცრემლების საიდუმლო მიზეზს?..

ეგებ, „დიდმა გამზდელმა“ უსუფის როლში იგძნო თავი და უკანასკნელი, მწარე ცრემლები დააფრქვია საფარბეგისთანა მოძმეთა მოღალატე და უღირსი გაზდისთვის...

ეს კია, როცა შევჩერდი და შეშინებულმა მოვახსენე, რო კითხვას სრულებით თავს დავანებებ-მეთქი, მან აღელვებით მიბძანა:

—„არა, არა მე არ ვტირი. მარა ეს მაროლა კარგათ დამიწერია“—ო.

ინახულა იგი ია ეკალაძემაც.

საგძნობელი სურათი იყო, როდესაც თვ-

ალკრემლიანმა იამ ხელზე ამბორით მოახსენა: ,,იმერეთის“ რედაქცია სალამს გიძღვნის, დიდო მგოსანო‘‘. —

აკაკი მაშინ ბევრათ უკეთ იყო და ჩვენც სრული იმედი გვქონდა, იგი განიკურნებოდა. მარა, საუბედუროთ, მოლოდინი არ გაგვიმართლდა და 25-ს იანვარს დილით იგი ძლიერ ცუდათ შეიქნა.

სრულიათ წართმეული ენა, საშინელი, სამუდამოთ ნახსოვრობიდან ამოუშლელი შემოხედვა, მოწყვეტილი სხეული—ყოველივე ეს ნათლად მოწმობდა იმ დიდს უბედურებას, რომელიც მალე თავს უნდა დაგვტეხოდა.

იგი მეტათ შფოთავდა.

ულმობელი სიკვდილი უკვე ემზადებოდა თვისი სასტიკი განაჩენის სისრულეში მოყვანას და ეს იყო მიზეზი, რო ველარც მგოსნის საყვარელი ვაჟი, ველარც მისი თაყვანისმცემელი, დისწული ანნა დადიშქელიანისა და ველარც მისი ერთგული კოტე აბდუშელიშვილი ხანგრძლივ ველარ ძლებდენ ძვირფას სარეცელთან...

თავს ვადექით: ვერა წერეთლისა, სპირიდონ ზაბახიძე, ფერშალი და მე. მოვიდა ჭიათურიდან მკურნალი სვიმონ ჯაფარიძე. იგი ჩვეულებრივი გამამხნევებელი ღიმილით შემოვიდა სათაყვანებელ აკათმყოფთან, გაშინჯა და მოახსენა: ,,ნუ გეშინიათ, ბატონო, არაფერია‘‘-ო.

ამაზე აკაკიმ ძლივ გასაგებათ ამოილუღლუღა:

— ,,მე სიკვდილის სრულიათაც არ მეშინია‘‘-ო.

ყოველივე ზომა მიღებული იყო. მკურნალიც მას უკანასკნელ წუთამდი არ მოშორებია.

ძლივს გავარკვიე, როდესაც აკაკიმ შვილი მოითხოვა, ალერსით მოუსვა ხელი ლოყაზე და დიდი გაჭირვებით წარმოთქვა:

—,,Маму успокой‘‘!..

ამის შემდეგ, კიდევ თქვა რაღაც და, როდესაც ალექსიმ და მე ჩავკითხეთ; ,, ლამპის შუქი ხომ არ გიშლით მოსვენებას‘‘-თქო, მან ნაღვლიანათ გვიპასუხა:

— ,,არა‘მე შუქი ადარაფერი ადარ მიშლის‘‘-ო.

ცოტა ხანს იქით ,კიდევ წამოილაპარაკა რაღაც, რამდენიმეჯერ გაგვიმეორა კიდეც, შემდეგ-კი, სხვა გვარათ შემოგვხედა, თითქოს გვისაყვედურა, რომ იმის ნათქვამს ველარ ვხვდებოდით და უიმედოთ ჩაიქნია ხელი.

არ გვემეტებოდა და ვერ ვურიგდებოდით იმ აზრს, რო ,თურმე, ეს იმის უკანასკნელი სიტყვები იყო.

კიდევ რამდენიმე საათი და... აკაკი მშვიდათ მიიცვალა.

არ აუსრულდა უკანასკნელი ნატვრა: ჩვენი მოჭირნახულე ვერ მოესწრო თვალით ეხილა ამ ჟამათ გამოუცნობი მომავალი ტანჯული სამშობლოს, რომელმაც ესდენ გულუხვათ უსხვერპლა დღეინდელ საშინელ ომს ჭაღარა მგოსნის ,,დაფითა და ნაღარით‘‘ წაქეზებული სიცოცხლით აღსავსე შვილნი, ღირსეულნი წინამორბედნი იმ გმირთა-გმირებისა, ვისაც შეუწყვეტლივ უხმობდა აკაკის ღვთაებრივი მუზა ცძრა კლიტულში ჩამწყვდეულ სატრფო ნესტანის გამოსახსნელათ...

დიდო მასწავლებელო! სანამ შენი დიდებული ცხედარი აქ, შენს საყვარელ სამშობლოსოფელში, განისვენებდა, საესებით ვერ ვგძნობდი ამ საშინელს დანაკლისს და, აი, რათ: თითოულს ჩვენგანს, თითქოს, რაღაც დიდი საქმე გაჩენოდა, რომლის ღირსეულათ შესრულება სწადდა.

ვერ ვიგძენი ეს იმ დროსაც, როცა მატარებელი უკანასკნელათ შეტორტმანდა და შეუბრალებლათ სამუდამოთ მოგვგლიჯა შენს ძვირფას მიწა-წყალს და პირქვე დამხობილთ მოზღვავებულ შენს თაყვანის მცემელთ.

ვერ ვგძნობდი ამას ვერც მაშინ, როცა საჩხერიდან თვილისამდი აურაცხელი ხალხი ეგებებოდა შენს დიდებულს ნეშთს, მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა და მუხლ-მოყრით გესალმებოდა და ვერც მაშინ, როცა სასოებით მოვსდიე შენს კუბოს უკანასკნელ სავანემდი— ყოველივე ეს ხო მომხიბლავი ზღაპრული სანახაობა იყო, სადაც თავგამოდებით მეტოქეობ-

დენ გლოვა და სიხარული, ღრძა კაეშანი და ბწყინვალე იმედი, სიკვდილი და სიცოცხლე...

ხოლო ახლა, როდესაც დღითი დღე ვრწმუნდები, რომ ამიერიდან ამათ მოგელის გული და აღარავინ არი, ვისაც თაყვანისცემითა და სასოებით შემიძლია მივაშურო, სავსებით განვიცდი რაღაც ერთგვარს ობლობას...

ამიტომაც არი, რო ხშირათ ოცნებით ვდგავართ დიდებულ მთაწმიდაზე, რომელმაც, გადაგვბირა შენი თავი, მოწიწებით მუხლს ვიყრი შენის ძვირფასი სამარის წინაშე და დაუსრულებელს მადლობას გიძღვნი იმისთვის, რაც მომანიჭე შენ სიცოცხლითა და სიკვდილითაც.

ანეტა იურკევიჩის ქალი

ზეპირ სიტყვაობის გამო.

ქართველებს რო დღეს სხვა-და-სხვა დიდი საჭიროება გვაქვს და აუარებელი საქმეც გვაწევს ტვირთათ, ეს ვინ არ იცის? მარა არც ერთი მათგანი ისეთი სასწრაფო არ არი, როგორც "ზეპირ-გადმონაცემების" შეკრება-შეგროვება. ჩვენ-კი მაინც ამდენი ხანია განზე ვუდგებით ამ საჭირო საქმეს!.. ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრების და ისტორიის მტკიცე საძირკველი, და მიტომაც, ცნობილია დღეს ყოველ განათლებულ ერისგან ერთ უპირველეს საჭიროებათ. ჩვენი ქართული „ზეპირგადმოცებები" მით უფრო შესანიშანვი არიან სხვებისაზე, რო კერძო მნიშვნელობას გარდა, სოფლიო ხასიათიცა აქვთ. საქართველო იყო ხიდათ და გზათ იმ დიდ მოძრაობის დროს, როდესაც სხვა-და-სხვა ერი აზიიდან ევროპაში გადადიოდა. მაშასადამე, ჩვენი ქვეყანა უძველეს დროიდანვე ბევრის მომსწრეა, მნახველი და მოწამე. ამას დავუმატოთ კიდევ ის გარემოებაც, რო ქართველი, საზოგადოთ, ბუნება თანაზიარია და, რაც უნახავს, ან გაუგონია, უყურათღებოთ არ დაუგდია, ყოველი შეუსწავლია და საშვილისშვილოთ გადმოუცია საზეპიროებით.

არსად ისე გავრცელებული არ ყოფილა „მეზღაპრეობა", "მესტვირობა„ და მეშაირობა, როგორც ჩვენში!.. საშვილისშვილოთ გადმოიცემებოდა ხოლმე ერთი-მეორისგან ასისა და ათასი წლის ამბები, და, ამის გამო, უმაღლეს წერტილამდი იყო აყვანილი ჩვენი სახალხო პოეზია... ძველი და ახალი აღმოქმა სულ ერთიანა გალექსილი იყო და ტრიალებდა ჩვენს ხალხში. ვის არ გაუგონია ჩვენში საუცხოო შაირები "აბრამზე„ "იობზე„, სოლომონზე„ და სხ?.. არც ერთი შესანიშნავი მოვლენება არ ყოფილა ჩვენში, რო ხალხს უყურათღებოთ დაეგდოს და შაირი არ გამოეთქვას!.. ამას გარდა, ძველი ხალხების მითოლოგია, განსაკუთრებით ბერძნებისა, სულ ჩვენ ზღაპრებში არიან მოქცეული. აქვე შეხდებით ჰომეროსისა და სხვა ძველი დროის მწერლების თხზულებათაც ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, მარა ქართველი ხასიათით და სულით-კი. ვინ იცის, ჩვენ გადმოგვიქართულებია, თუ იმათ გადაურჯულებიათ ჩვენი რამე? ესეები ყველაფერი დღემდი კარგათ იყო ჩვენში დაცული, სანამ საშვილისშვილოთ გადადიოდა!.. მხოლოთ საქართველო წარმოადგენს ერთათ-ერთ მაგალითს, სადაც "ბატონ-ყმობის„ დროს ზოგიერთ გლეხებს მთელი გვარეულობით ზღაპრებისა და შაირების მეტი არა ემართათ რა ვადასახადი. დღეს, როდესაც ძველი წესწყობილება დაირღვა, დაიშალა და ახალგვარი ცხოვრება შემოვიდა ჩვენში, ამ ჩვეულებასაც, ე. ი. ,ზეპირ-გადმოცემასაც, ბოლო მოეღო. ახალ დგმას აღარ ეხალისება ეს ძველებური საზეპიროები და მოხუცებულ მამებს საფლავში ჩააქვთ ასეთი ძვირფასი განძი!.. ჩვენი დღენდელი დაუდევრობით დავკარგავთ იმას, რისაც მოპოვება მერე შეუძლებელი იქნება. ეს აზრი მე ამ ოცი წლის წინათაც გამოვთქვი „დროებაში„ და ზოგიერთებმა კიდეც მომაწოდეს მათგან შეკრებილი ზღაპრები და არაკები. მარა შემთხვევით, გზა-და-გზა ამ გვარი რამ არ გაკეთდება!.. იმათი შრომა უნაყოფო გამოდგა, რათგანც ამისთანა საქმეს გულდაგულ შედგომა უნდა და ცოტაოდენი ცოდნაც. მოუმზადებელი კაცი ვერ მიხვდება, რას უნდა მიაქციოს ყურათღება და, როგორ უნდა

ჩაწეროს გაგონილი? მით უფრო, რო ხალხური სიტყვიერება მრავალგვარია და ყველა მათგანს-კი არა აქვს საერო მნიშვნელობა, ზოგჯერ შიგა-და-შიგ ობროდობაც გამოერევა ხოლმე. პირველი ადგილი ხალხურ ნაწარმოებში ეკუთვნის იმ სიტყვიერებას, რომელიც საკუთარ ნიადაგზეა აღმონაცენი და, როგორც მისი საკუთარი გძნობა-გონებისა და თავ-გადასავლის ნაყოფი, საუკუნოების ბრძმედშია გამოვლილი და ადვილათაც გაირჩევა იმგვარ პოეზიისგან, რომელიც სხვა უცხო ქვეყნებიდან შემოპარულა და ახალ გემოზე გადაკეთებულა. ავიღით მაგალითი:

„თამარ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექნეს დრეკა„...

ეს რო ქართულნიადაგზეა აყვავებული და ქართველი ერის გენიოსობის წარმონაშობი,— ვინ არ დათანხმდება? ხალხს უნდოდა, რო მისი სატფრიალო და სალოცავი თამარ მეფის სიწმიდე და ძლიერება გამოეხატა და შემდეგი საუკუნოებისთვის ძეგლათ გადმოეცა. და ხედავთ, როგორ გამოსახა? ხალხის წარმოდგენით იქ, სადაც ღვთის სადგურია და ანგელოზები მსახურობენ, გაუსხლეტელი წირვა ლოცვა და გამჩენის დიდებაა; იქ, რასაკვირველია, ზარების რეკაც ხშირია, მარა ცოდვილი მიწის შვილის სმენა იქამდი ვერ მიწვდება და მხოლოთ ერთად-ერთი მისი საკვირველი თამარი იყო, რომ იქაურ ამბავს თვისი ყურით ისმენდა!..—"ციდან ჩემოესმა რეკაო„!.. განა ამაზე ძლიერათ სიწმიდეს გამოხატვა კიდევ შეიძლება სხვა გვარათ? "იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკაო"!.. აი, ქვეყნიური ძლიერება, სავსებით დახატული!..

ახლა შევუწონოთ ამ ორ ტაეპს მთელი პოემა "თამარიანი„' ან შავთელის მიერ შესხმით ქება და, რას დავინახავთ? იმას, რო შავთელმა, რომელსაც საგნათ ქონდა აღებული თამარ მეფის სიწმიდისა და ძლიერების ხელოვნებით გამოხატვა, მისი მეათასედიც ვერა თქვა რა, რაც ხალხის გენიოსობამ ორი უბრალო სიტყვით გადაჭრა. ამ გვარი სამაგალითო და სამარგალიტო ყველგან არ მოიპოვება და არც ბევრია, რათგანც ხალხურ ნაწარმოებშიაც მეტ-ნაკლებობა არი ხოლმე. მოვიტანოთ მაგალითი:

"მაყვალს გიგავს თვალებიო,
გოგო, გენაცვალებიო!..„

— —

ან და: „ხელსახოცსა გადომიგდებ
ოქრო მკედით მოქარგულსა,
შიგ გაგიხვევ სულს და გულსა
შენთვის დამწვარ დადაგულსა!„

ეს ორივე ლექსი ტრფიალების წარმონაშობია. მარა, რა გასხვავებაა მათ შუა?!.. ავიღოთ კიდევ სხვა:

„პატარა ხარ და კარგი ხარ,
გაიზდები, რა იქნები?!,.
შენ—ბატონი მწყალობელი,
მე ერთგული ყმა ვიქნები„

— —

მეორე ამგვარივე:

„ყმა ბატონისთვის მოკვდება,
ბატონიც მწყალობელია;
ხორცს აუმღერებს პატივით,
სულისაც მგალობელია."

— —

ახლა კიდევ ამგვარივე, მარა სხვა ხასიათისა:

„აქამდი ჩვენი ბატონი
უწრუწუნებდა ქორებსა,
ახლა-კი მისი შვილები
ჭალას დადევენ ღორებსა."

— —

„აზნაური ჭადს არა ჭამს,
მოშივდება ჭირსაც მომჭამს„

— —

''გლეხი კაცი იზდებოდესო,
ვირდებოდესო'' და სხვანი.

ესენი ყველა ხალხის ნაწარმოებია. მარა, რა გასხვავება არის იმ პირველ ორსა და სხვებს შუა?! ერთი გვიხატავს მრავალ საუკუნოების განმავლობაში ბატონ-ყმურ კეთილ დამოკიდულებას და მეორე-კი ხალხის ზნეობით და-

ცემის დროს და სხვა-და-სხვა წოდებათა ერთ-მანეთთან გადაკიდებას. უმნიშვნელო არც ერთი არ არი, თუმცა პირველს-კი საისტორიო, საერო მნიშვნელობა აქვს და მეორე მხოლოთ კერძოობითია, ადგილობრივი და დიდხანსაც ვერ დაისადგურებს ხალხის გონება-გონებაში. მარა მაინც ყველა უმეტნაკლებოთ უნდა ჩაიწეროს და გამოიგზავნოს რედაქციაში. ამიტომაც, მივმართავთ ყველას, ვისაც შეუძლია დახმარება, განსაკუთრებით სოფლელ ახალგაზდობას, რო მხარი მოგვცენ ამ დიდათ საპირო საქმეში. იმათ უნდა აიღონ თავიანთი სოფლები და აგვიწერონ ამ გვარათ: რა გვარის კაცები ცხოვრობენ იქ და ან, რა თქმულებაა დარჩენილი მათში იმათ ძველებზე? დაგვისახელონ, რა და რა ფრინველები, შინაური და გარეული ცხოველები შენობენ იქ? რა და რა მცენარებალახები იზრდებიან და რა თვისებისა არიან ზოგიერთი მათგანი? რომელი მათგანი გამოდგება საღებავათ? საწამლავათ? სამკურნალოთ? რამდენი ნანგრევი ციხე-კოშკ-დარბაზებ-ტაძრებია, რადა. არი მათზე თქმულება? რა და რა მდინარენი ჩამოდიან? რა თევზებია შიგ? ტბები, თუ აქვს? წყაროები? ღელეები და სხვანი. შეკრიბონ აქვე ზეპირ-გადმოცემებიც ყოველ გვარი: ზღაპრები, შაირები, ლექსები, ანდაზები, ზმები და სხვანი. გვარში, თუ რამე გუჯრებია, აგრეთვე ყოველი სიტყვა, რომელიც ეუცხოვოთ, ჩაწეროს და მისი მნიშვნელობა გამოკითხონ ხალხს. შემკრებელმა, რასაკვირველია, უნდა უმეტ-ნაკლებოთ ჩაწეროს, როგორც გაიგონოს, ე. ი, ფონოგრაფიულათ. დაესწროს ხოლმე სოფლის ჭირში და ლხინში, რო მათი ზნე და ხასიათი შეისწავლოს და აგვიწეროს. ერთს სოფელს რო მორჩება, მერე მეორეში გადავიდეს და, ამ გვარათ, მოიაროს ერთი მეორეზე მისი მაზარა, ან ხეობა. ეს ძალიან ადვილი საქმეა და ამას არც ძალიან ბევრი დრო მოუნდება. ამ საქმეს მხოლოთ გულდადება უნდა, მცირეოდენი ბეჯითობა, რო თავის საკუთარი ფანტაზია არ წაამატოს შემკრებელმა. ამ ოცი-ოცდა-ათიწლის წინათ მე თვით დავდიოდი სოფლი-სოფლათ და იმდენი რამ შესანიშნავი ვნახე და გავიგონე, რო სწორეთ გასაკვირველია. ბევრი მათგანი ერთი შეხედულობით უმნიშვნელო და სულელური რამ გონია კაცს. მარა, ბოლოს რო დაუკვირდება, მიხვდება, თუ რა გონივრული არიან ისინი. ავიღოთ მაგალითად შემდეგი: სვანეთში მოსახლეები კოშკებში დგანან და თითო სახლში ხშირათ მთელი გვარეულობა არი მოთავსებული, ასე რო, თუმცა ერთი კაცის ჩამომავალნი არიან. მარა მათში თითქმის ნათესაობაც აღარ არის, ერთი დედ მამის შვილნი ერთმანეთში ძმებათ იწოდებიან და სხვებთან-კი ძმანებათ. აი, საიდან წამომდგარა მრავლობითი რიცხვის კიდევ განმეორებული მრავლობით რიცხვი!*) რასაკვირველია, ამ ძმებსა და ძმანებს ისე წამთ ერთმანეთში ნათესაობა, რომ იმის გატეხა მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნიათ. ეს მე მიკვირდა, ერთმა უბრალო შემთხვევამ ყოლიფერი ამიხსნა. ერთ სერზე რო გადავდიოდი, ჩემმა მხლებელმა სვანმა მოიხადა ქუდი და თქვა: ,,ღმერთო შეუნდეო!,,.. და მიათითა ერთ პატარა ჩავარდნილ ადგილს ტახტის- მგზავს. რო გამოვკითხე, აი, რა მიამბო:—ეს სერი ყოფს საბატონო და თავისუფალ სვანეთს!.

აქიდან ორივე კარგათ მოჩანს. ერთ დილას ამოსულიყო საბატონოდან გოგო, გადაეხედა და ეთქვა: ''რა კარგი რამ არის ეს თავისუფალი სვანეთიო!'' იმ დროსვე მეორე მხრიდან ვაჟი გადმოსულიყო, გაეხედა და ეთქვა: ''რა კარგია საბატონო სვანეთიო!''. ორივეს გძნობა მორეოდა. მერე დაენახათ ერთმანეთი გძნობა-მორეულზე, შეყვარებოდათ, ცოლ-ქმრობის პირობა დაედვათ და შემცდარიყვენ. მარა მაშინვე დედამიწა გასკდომოდათ და შიგ ჩავარდნილიყვენ:—აი. ბატონო, ხო ხედავთ ტახტივით რო მოჩანს და ზედაც დიდი სასაფლავოაო?.. თურმე, ნუ ბძანებთ, ერთი მათგანი ტყვეთ ყოფილიყო წამოყვანილი, ძმა ყოფილიყო ამ გოგოსი და კი არავინ იცოდაო. ისე სვანი ვერ აუვლის გვერდს ამ ადგილს, რო შენდობა არ გამოითხოვოს იმ შემცდარებისთვისო. ამ გვარი თვით ხალხის გულიდან ამონაღები დიდი ძალა და კანონია იმავე ხალხისთვის. აფხაზეთში ერთ ნამოსახ-

*) შეგნებული მკითხველი აკაკის ამ საყურათღებო შენიშვნას ღმათ დაუკვირდება.

ლზე, ვინც გაივლის, დიდი, თუ პატარა, ყველა ფიჩხს დააგდებს და, როდესაც შეგროვდება, მერე წაუკიდებენ ცეცხლს და დასწვენ ხოლმე. ეს ჩვეულება ჯერეც კიდევ არ გადავარდნილა. ამბობენ, აქ ერთი მოსახლე იყო, რომელმაც ზამთარში გაყინული მგზავრი შინ არ შეუშვია. სტუმრობის გატეხის თვის ასე უნდა იყოს შეჩვენებული, რო საიქიოს ცეცხლი არ გამოელიოსო. ამ გვარი რამეები თავისთავათ საგულისხმო არიან და ახსნა აღარ ეჭირვებათ. საკვირველი ის არი, რო ჩვენში ყველგან ამაო რწმუნებასაც გონივრული საფუძველი აქვს და არა ისე ტუტუცური, როგორც ზოგიერთ ხალში. ესეები ყველა რო შეიკრიბება, მაშინ შევიტყობთ ჩვენი ქვეყნის ფასს და ჩვენ თავსაც გავიცნობთ; მაშინ ნამდვილათ გვექნება გათვალისწინებული საქართველო ყოველი მხრით: გეოგრაფიულათ, ეთნოგრაფიულათ, ისტორიულათ, არქეოლოგიურათ და სხვანი. მაშინ ლექსიკონების შედგენაც ადგილი იქნება, როგორც საზოგადოსი, ისე კერძოთ ზოოლგიურის, ბოტანიკურის, მინერალოგიურის და სხვანი სხვა ქვეყნებში დიდი ძალი თანხაა საკუთრათ ამ ზეპირსიტყვაობისთვის გადადებული და ჩვენში. აც უსასყიდლოთ ძნელი იქნება სავსებით საქმის წაყვანა. მარა ჯერ, რათგანც საკუთარი შეძლება ნებას არ გვაძლევს, რო ქირით ბევრი ვიყოლიოთ, ოთხის მეტი არ გვყავს საკუთარი მკვლევარი და ზეპირ-გადმონაცემების ჩამწერი. შემდეგში-კი, თუ საქმე კარგათ წავიდა და საშვალებაც გვექნება, რასაკვირველია, ყოველ მაზრაში გვეყოლება თითო კაცი. ახლა-კი, ჯერ-ჯერობით ყველას ვთხოვთ, რო ვინც რითაც შეიძლოს, ამ დიდ საქმეში დახმარებას და შემწეობას ნუ მოგვაკლებს.

აკაკი.

(აკაკის "კრებული„ 1897 წ. № 1.)

აკაკი უნივერსიტეტში.

(ოფიციალურ ცნობათა და მეგობარ-ამხანაგის მოგონებათა თანახმათ).

აკაკის გიმნაზიაში სწავლის შესახებ ოფიციალური ცნობები უკვე გამოქვეყნებულია (ვ. ბერიძე: „აკაკი—მოწაფე". იხ. „სახალხო ფურცელი", 1915 წლის 13 თებერვლის № 209). ამ ცნობების თანახმათ, აკაკის გიმნაზია არ დაუმთავრებია: 1859 წელს, 10 თებერვალს იგი მეშვიდე კლასიდან გამოსულა (მაშინ გიმნაზიაში მარტო შვიდი კლასი იყო) და დოკუმენტებიც გაუტანია.

როგორც თავის „თავგადასავალში" მოგვითხრობს, აკაკის აზრათ ქონია—სამხედრო სამსახურში შესულიყო და ამ აზრით პეტრეს ქალაქში გამგზავრებულა. ეს მომხდარა იმავე 1859 წლის „მაისის დამდეგს" (იხ. „ჩემი თავგადასავალი". ჟურნალში „აკაკის თვიური კრებული" 1898 წ. № 9, გვ. 27*).

1859 წლის მკათათვეში აკაკი უკვე პეტრეს ქალაქში ჩანს, რასაც ადასტურებს მისი ლექსი „საიდუმლო ბარათი", რომელიც დაწერილია ქ. პეტერბურგს 1859 წლის 20 მკათათვეს (ჟურნ. „ცისკარი", 1860 წლ. იანვრის ნუმერი).

„ჩემი თავგადასავალიდანვე" ვტყობილობთ რო, თუმცა აკაკის დიდი სურვილი ქონია სამხედრო სამსახურში შესვლისა, მარა პეტრეს ქალაქში ქართველ სტუდენტებს იმ-ზომათ გაუტაცნიათ, რო გადაუწყვეტია—უნივერსიტეტში შესულიყო.

სამწუხაროთ, ოფიციალური დოკუმენტებიდან არა ჩანს—როდის შესულა აკაკი უნივერსიტეტში. მარა აშკარა კია, რომ ეს უნდა მომხდარიყო იმავე 1859, ან 1860 წელს: 1862 წელს აკაკი უკვე კურს-დამთავრებულთა სიაშია აღნიშნული.

აკაკის უნივერსიტეტში სწავლის შესახებ ოფიციალური ცნობის შეკრება ნატვრითი ქონდა პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ბ-ნს **იოსებ ალექსის ძე ეიფშიძეს**, რომელმაც შეკრებილი მასალები საკუთარის შენიშვნებითურთ ჩვენ გადმოგვცა.

*). 1859 წლის მარტში გიმნაზიიდან გამოსული აკაკი საჩხერეში ჩანს: მარტის 25-ს, საჩხერეში დაწერილია მისი ლექსი „ნავი" (იხ. ჟურ. „ცისკარი" 1859 წ. სეკტემბრის ნუმერი).

აი, რას ამბობს იგი ერთს თავის შენიშვნაში:

„თვით საქმე აკაკის სტუდენტობისა, როგორც, საზოგადოთ, ყველა სტუდენტების საქმეები, უნდა დაცული ყოფილიყო უნივერსიტეტის საერთო არქივში. მარა, მიუხედავათ არა ერთგზის ბეჯითი ძებნისა, იქ ეს საქმე ვერ აღმოვაჩინეთ ჯერ-ჯერობით მაინც. ეს საქმე რო გვეპოვა, მაშინ უფრო დანამდვილებით და დაწვრილებით გვეცოდინებოდა აკაკის უნივერსიტეტში შესვლის დრო და ისიც, თუ, რა და რა დოკუმენტის წარმოდგენა დასჭირდა უნივერსიტეტში ჩასარიცხავათ. იქვე დაცული იქნებოდა იმ დიპლომის შავი, რომელიც ჩვენთვის აგრეთვე ძვირფასი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ თვით დიპლომი აღარ არსებობს. ამისთვის ხაჭიროა, თუ აკაკის დიპლომის ბედი ჯერ გამოურკვეველია, ახლავე ზომები იქნეს მიღებული მის გამოსარკვევათ“.

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დავალებით, ამ საახალწლოთ, მე პირადათ ვინახულე (ქუთაისში) აკაკის ერთ-ერთი ნაამხანაგარი, თავადი ჯარიჯე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე, რომელმაც დაბეჯითებით გვარწმუნა, რომ აკაკის უნივერსიტეტიდან დიპლომი არ მიუღია, თუმცა ეგზამენებიც სისრულით ჩააბარა და საკანდიდატო თხზულებაც წარადგინაო. დიპლომის მიუღებლობის მიზეზი ის იყო, რომ აკაკი უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელათ ითვლებოდა, რათგან გიმნაზიის დამთავრების მოწმობა არა ქონდაო, ხოლო ასეთს სტუდენტებს უნივერსიტეტი დიპლომს აძლევდა მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ რომელსამე გიმნაზიაში ეგზამენს ჩააბარებდენ და კურსის დამთავრების მოწმობას მოიპოვებდენო; აკაკის გიმნაზიის მოწმობა არ მოუპოვებია და ამიტომ არც საუნივერსიტეტო დიპლომი მიუღიაო.

ამასთან ერთად, პატივცემულმა თავადმა კირილე ბეჟანის ძემ მოგვაწოდა ცნობა, რო თავისუფალ მსმენელთათვის უნივერსიტეტში სავალდებულო არ ყოფილა ოთხ წელს სწავლა; როცა სურდათ, მაშინ ჩააბარებდენ ეგზამენს და წარადგენდენ საკანდიდატო თხზულებასო.

როგორც ჩანს, აკაკიც ისე მოქცეულა: უნივერსიტეტში იგი ოთხ წელს არ დარჩენილა. მარა აქ უმჯობესია--სიტყვა ოფიციალურ საბუთებს დავუთმოთ.

როგორც ვიცით, საუნივერსიტეტო არქივში ჯერ-ჯერობით არა ჩანს აკაკის უნივერსიტეტში შესვლის დრო. „სამაგიეროთ აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის არქივშიო,—წერს ბ-ნი ი. ყიფიძე,—აღმოჩდა საინტერესო ცნობები აკაკის უნივერსიტეტში ყოფნისა და მეცადინობის შესახებ. აკაკი უნივერსიტეტში მიუღიათ თავისუფალ მსმენელათ, ან გარეშე მსმენელათ („посторонній слушатель“). ასეთი მდგოიარეობა პოეტს არ აკმაყოფილებს და ის ცდილობს მიიღოს უფლება კანდიდატის ხარისხით უნივერსიტეტის გათავებისა. ის და მისი ამხანაგები, აგრეთვე გარეშე მსმენელები—აბელ ჩოლოყაშვილი (Челокаевъ), ალექსანდრე აფხაზი (Абхазовъ) და რაფიელ პატკანიანი—თხოვნას აძლევენ უნივერსიტეტის რექტორს, რო ნება დართოს მათ კანდიდატის ხარისხზე გამოცდების დაჭერისა. ეს თხოვნა რექტორს გადაუცია განსახილველათ აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტისთვის და ფაკულტეტს 1861 წელს, აპრილის 1-ს სხდომაზე განუხილავს ეს თხოვნა და კიდეეაც დაუკმაყოფილებია. ამის შემდეგ, აკაკი შედგომია გამოცდების დაჭერას სხვა და სხვა საგანში. 1861 წ. 3 აპრილს გამოცდა ყოფილა დანიშნული სომხურ ენასა, ლიტერატურასა და ისტორიაში. აკაკი წერეთელს ამ დღეს მხოლოთ სომხურ ენაში დაუკავებია გამოცდა და მიუღია ოთხი (4); ცოტა ხნის შემდეგ, სომხურ ლიტერატურასა და ისტორიაშიც დაუჭერია გამოცდა და ხუთი (5) მიუღია. საეგზამენო ფურცელს ხელს აწერენ: ადიუნკტი ა. ბეროევი და დეკანი ა. მუხინსკი.

„იმავე წლის, 8 აპრილს გამოცდა ყოფილა თათრულ-ადერბეიჯანულ ენაში. აკაკი გამოცდის დროს ავათ გამხდარა. ზემოდას-

ხელებული მისი ამხანაგები სულაც არ გამოცხადებულან გამოცდაზე. გამოცდა დაუჭერია მხოლოთ არტემ კუზანოვს და მიუღია ხუთი (5).

„იმავე წლის 19 აპრილს აკაკის გამოცდა ქონია რუსულ სიტყვიერებაში და მიუღია (4). ასეთივე ნიშანი მიუღია თავად ჩოლოყაშვილს; აფხაზს ნიშანი არ უზის, ხელს აწერენ: მ. სუხომლინოვი და კ. გოლსტუნსკი.

„იმავე წლის 3 მაისს აკაკის გამოცდა ჩაუბარებია ქართულ ენაში, მიუღიახუთი (5) და ქართულ ლიტერატურასა ⁄ ისტორიაშიც აგრეთვე ხუთი (5), ხელს აწერენ: პროფ. დ. ჩუბინოვი, დეკანი ა. მუხინსკი და ადიუნტი ბეროევი.

"იმავე წლის 17 მაისს აკაკის თათრულ—ადერბეიჯანულ ენაში სამი (3) მიუღია.

„23 მაისს ღვთისმეტყველებაში ჩაუბარებია გამოცდა და ხუთი (5) მიუღია. ხელს აწერს პროფ. დეკანოზი ᲘᲐ. პოლისადოვი. ამ პროფესორისთვის აკაკის შემდეგი ცნობა (справка) წარუდგენია საჩქოს მდივნის, ა. სავინსკის მიერ მიცემული იმავე 23 მაისს: "უფ. აკაკი წერეთელი, თანახმათ მისი თხოვნისა, როგორც გარეშე მსმენელი, დაშვებულია საკანდიდატო ხარისხის გამოცდებზე სომხურ-ქართულ განყოფილებაზე. ამისთვის მას, წერეთელს ეძლევა ეს ცნობა უფ. ღვთისმეტყველების პროფესორისთვის წარსადგენათ ამ საგანში გამოცდის დაჭერის დროს''.

,,25 მაისს აკაკი გამოცდა ჩაუბარებია ფრანგულ ენაში და სამი (3) მიუღია.

„ამა, თუ იმ საგნებში სამი აკაკის არ ყვარებია, ნამეტურ სპეციალურ საგანში. ცნობებიდან ჩანს, რომ აკაკი გამოცდას თავს ანებებდა ხოლმე, შესწყვეტდა ხოლმე გამოცდას, თუ ატყობდა რო სასურველ ნიშანს (4 ან 5) არ მიიღებდა. ანდა ცდილობდა იმ საგნებში, რომლებშიაც უკვე სამი (3) მიღებული ქონდა, განმეორებითი გამოცდა დაენიშნათ მისთვის. ეს ცხადათ ჩანს აღმოსავლეთის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის აღმასრლებლის ერთი მოხსენებიდან უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის აღმასრულებელისადმი 17 აგვ. 1861 წ. ,,ამა წლის (1861) ივნისის 28 რიცხვის მოწერილობაზე (отношеніе) № 1300 პატივი მაქვს მოგახსენოთ, რო, მე მგონია, შეიძლება გარეშე მსმენელს, თავად წერეთელს ნება მივცეთ დაათავოს გამოცდა რუსულ ისტორიაში საკანდიდატო ხარისხზე; ხოლო, რაც შეეხება განმეორებითი გამოცდას თათრულ ენაში, ასეთი განმეორებითი გამოცდა ახალი წესების მიხედვით აკრძალულია, და ეს გარემოება პატივი მაქვს თქვენი აღმატებულების კეთილგანხილვას წარმოვუდგინო''

,,ჩვენ ზევით უკვე მოვიტანეთ ცნობა იმის შესახებ, რომ აპრილს თათრულ ადერბეიჯანულ ენაში გამოცდის დროს აკაკი ავათ გამხდარა. საფიქრებელია, ეს ავათმყოფობა პოეტს მოეგონებოს, რო ნებადაურთველათ ხელმეორეთ იმავე გამოცდაზე მოსვლის უფლება შეენარჩუნებინა, რაკი ატყობდა სასურველ ნიშანს (4 ან 5) ვერ მიიღებდა. მართლაც, 17 მაისს ჩვენ აკაკის იმავე გამოცდაზე ვხედავთ. მარა სამი მიიღო, როგორც ზევით უკვე ავნიშნეთ. ეს სამი არ ასვენებს პოეტს და ის გარემოება, რო რუსულ ისტორიაში გამოცდა დაუმთავრებელი აქვს.

,,3 ოკტომბერს 1861 წ. დეკანი ა. მუხინსკი შემდეგ წერილს უგზავნის გამოჩენილ ისტორიკოსს კოსტომაროვს აკაკის შესახებ: „აღმოსავლეთის ფაკულტეტის დეკანი, უცხადებს რა სრულ პატივისცემას ნიკოლოზ ივანეს ძეს, უმორჩილესათ თხოვს დაუშავს გარეშე მსმენელი აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტისა წერეთელი რუსული ისტორიის გამოცდაზე და ამავე ფურცელზე ნიშანი დაუსვას მას''. ორდ. პროფესორის თანამდებობის აღმსრულებელი კოსტომაროვის წარწერა; ''გამოვცადე რუსულ ისტორიაში და (4) მიიღო''.

„ამნაირათ, აკაკიმ რუსულ ისტორიაში საქმე გამოაკეთა. მარა თათრულ-ადერბეიჯანულში განმეორებით გამოცდის დანიშვნაზე უნივერსიტეტის მთავრობამ, ახალი წესების მიხედვით, უარი უთხრა. აკაკი არც აქ შეჩერდა და სხვა ზომებს მამართა თავისი სურვი-

ლის შესასრულებლათ. რათგან უნივერსიტეტის მთავრობის უფლებას აღემატებოდა გამეორებითი გამოცდის დანიშვნა, აკაკი იძულებული იყო საოლქო მზრუნველისთვის მიემართა ამ საგნის შესახებ. მზრუნველს შეუწყნარებია აკაკის თხოვნა, რაც ჩანს შემდეგი ცნობიდან: აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის სხდომაზე 31 მარტს 1862 წ. უფ. ზრუნველის ნებართვით ადერბეიჯანულ ენაში გამოცადეს აკაკი წერეთელი, აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართული განყოფილების თავისუფალი მსმენელი. უპასუხა ოთხზე (4). ხელს აწერენ: ადჯუნკტი ბუდაგოვი, დეკანი ა. მუხინსკი, დ. ჩუბინოვი, მ. ნავროცკი, მდივანი დ. კ. გოლსტუნსკი.*)

ამგვარათ, 1862 წელს, მარტის 31-ს, აკაკიმ ჩააბარა უკანასკნელი გამოცდა და მოიპოვა უფლება საკანდიდატო თხზულების წარდგენისა.

როგორც თ-დმა კირილე ლორთქიფანიძემ გადმოგვცა, აკაკის საკანდიდატო თხზულება მართლაც წარუდგენია. თემა აღებული ქონია ქართული ლიტერატურიდან, სახელდობ შესახებ „ვეფხის ტყაოსნის“ ორიგინალობისა (თ-ს კირილეს კარგათ აღარ ახსოვდა თვით თემის ფორმულა, მარა აზრი-კი სწორეთ ასეთი ყოფილა*). იმ თხზულებაში გატარებული აზრები შემდეგ უფრო ვრცლათ აკაკის განუვითარებია თავის ლექციებში „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ (შეად. აკაკის თვიური კრებული“ 1898 წ. №№ 5 და 6).

თხზულება, როგორც ჩანს, მოუწონებიათ, რათგან აკაკი უცვნიათ ღირსათ საკანტიდატო ხარისხის მიღებისა, თუ გიმნაზიის კურსის დამთავრების მოწმობას წარადგენდა. მარა აკაკის ასეთი მოწმობა არ წარუდგენია და, ამის გამო, არც დიპლომი მიუღია.

*) აქ თავდება ბ-ნის ი. ყიფშიძის მიერ საუნივერსიტეტო არქივიდან ამოკრეფილი ცნობები. ბ-ნმა ყიფშიძემ „საისტორიო საზოგადოებას“ გადმოსცა თვით ამ ოფიციალური დოკუმენტების პირებიც, საიდანაც მას თავისი ცნობები ამოუკრებია. ეს პირები ინახება აკაკის სხვა საბიოგრაფიო მასალებთან ერთად.

*) სახელდობ: О подлинности Барсовой Кожи.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რომელ სასტუდენტო წრეებში მუშაობდა ხოლმე აკაკი უნივერსიტეტში ყოფნის დროს, —თ. კირილე ბეჟანის ძემ მიპასუხა, რომ იმ დროს უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტობას არავითარი წრე არა ქონია; არსებობდა მხოლოდ პოლონულ სტუდენტთა წრე და რუსის სტუდენთა ორი წრე: „Земля и Воля“ და „Народники“-ო; ამ წრეებში არცერთი ჩვენგანი (და არც აკაკი) მონაწილეობას არ იღებდაო.—სამაგიეროთ აკაკის ძალიან ყვარებია რუსული ლიტერატურისა და კრიტიკის კითხვა: მე-19-ე საუკუნის მგოსან-ბელეტრისტებსა და კრიტიკოსებს ძალიან კარგათ იცნობდაო,—ბძანა თ-მა კირილე ლორთქიფანიძემ. სამაგიეროთ საფილოსოფოსო თხზულებათა კითხვა მას აგრე რიგათ არა ყვარებია.

ასეთია ჯერჯერობით ჩვენი ცნობები აკაკის უნივერსტეტში ყოფნის შესახებ. იმედია —მომავალი უფრო მეტ საინტერესო ცნობებს მოგვცემს დიდებული მგოსნისა და მამულიშვილის შესახებ.

ს. გორგაძე.

მოკვდა აკაკი...*)

Пусть арфа сломана— аккордъ
еще рыдаетъ.

Надсонъ.

...

მოკვდა აკაკი—დიდი მგოსანი...
ჩაქრა სანთელი ხელოვნებისა...
მოკვდა აკაკი - ერის საუნჯე,
დაიხშო წყარო აზროვნებისა...

—

მოკვდა აკაკი—ერის დიდება,
ყურს აღარ ხვდება იმისი ჰანგი...

*). წაკითხული იყო ქ. ხარკოვში აკაკის საღამოზე, 8 მარტს, 1915 წელს.

ავტ.

დაინგრა ერის საკურთხეველი,
დაიმსხვრა მგოსნის წკრიალა ჩანგი...

—

ქართველი დედა შავში ჩამჯდარა,
დალალებს იშლის, ლოყას იკაწრავს,
ქვეყანას შესტირს თვის უბედობას,
თვის გულის ტკივილს არვის უმალავს.

—

შვილი მოუკვდა, მერე, —რა შვილი!
მისი დიდება, მისი მგოსანი!
მოუკვდა მისი დიდი აკაკი—
ზეცით ნაკურთხი და სხივოსანი!

—

სუყველა ტირის: დიდი, პატარა,
მცოდნე, უვიცი და მეცნიერი.
ტირის კასპიდან შავი ზღვამდინა
დაობლებული ქართველი ერი...

—

ტირის სამშობლო ძაძამოსილი...
ტირის... დაკარგა დიადი მცველი;
მის წმიდათ წმიდა იდეალების
და მისი რწმენის გამომხატველი.

—

სამშობლო მიწას მოშორებული
შორიდან ვტირით მის უბედობას...
ვგოდებთ: რალა ქნას, აწი ბედკრულმა,
ვილა გაუწევს აწი დედობას?

—

მარა ნუ ვტირით, თუ იგი მოკვდა
და შეასრულა ბუნების ვალი,
რათგან არ კვდება ზეცით ნაკურთხი,
ვიზედაც სუფევს ღვთიური ძალი.

—

აკაკი მოკვდა... აკაკი არ გვყავს...
მარა აკაკი არ არი მკვდარი.
მისი აკორდი მუდამ იჟღერებს...
დე, დამსხვრეული იყვეს მის ქნარი.

გ. ალი.

მოგონება.

შესრულდა წელიწადი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა და სამუდამოთ მივაბარეთ წმ. დავითს ჩვენი სიამაყე აკაკი. მარა ჩვენ განა განვშორდით მას? არა და არა. მისს ხსოვნას ჩვენ ვერ მოვიშორებთ, ვერ დავკარგავთ მაზე ფიქრს, რათგან, მას ყოველ ჩვენთაგანში აქვს ადგილი, შეზდილი, შესისხლხორცებული ვართ მასთან. მეტს ვიტყვი: ის ყოველ ჩვენთაგანის ნაწილს შეადგენს, რათგან ის იყო ჩვენი გულის კვეთების სავსებით გამსახიერებელი, ჩვენი დიდი ჭირისუფალი.

მისი დიდებული იუბილეს დროს და მის წინ ჩემთან ჩერდებოდა იგი ქუთაისში, ხშირათ მეუბნებოდა ნეტარხსენებული, რო მე მისთვის უხვი მასპინძელი ვიყავი, რომ ის ჩემთან პოებდა სრულ თავისუფლებას და ეს ხო საუკეთესო „ბლიუდო“ არი ყოველი ადამიანისთვისო!

ახირებული იყო ამ დროებში მისი ცხოვრება: ერთხელ და საყოველთაოთ ნათქვამი ქონდა მისგან მოსამსახურეს, საღამოს, როდესაც გაიღვიძებდა, სამოვარი მზათ ქონოდა. მიირთმევდა ჩაის, თუ არა, ჩაჯდებოდა ეტლში, და მიეშურებოდა კლუბისკენ, სადაც მას ელოდენ მისი ჩვეული პარტნიორები. სახლში ჩვეულებრივ ბრუნდებოდა დილის 3—4 საათზე. ხანდახან უფრო გვიანაც, თუმცა ძლიერ იშვიათად.

(კლუბიდან დაბრუნებულ აკაკის ეძინა პირველი—მეორე საათამდი. ჩვენთვის რო სადილისთვის სუფრა იშლებოდა, აკაკისთვის სამოვარი შემოდიოდა. არა ერთხელ ნეტარხსენებული სამდურავივით იტყოდა: რა დროს სადილიაო. მე—კი სულ ვესაყვედურებოდი, რო გვიან ბრუნდებოდა კლუბიდან, და ღამის უძილოთ გატარებით ძლიერ იღლებოდა, ილახებოდა. როდესაც არ უნდა მეკითხა თამაშის შესახებ, ის ყოველთვის მოგებული იყო. მე-კი მესმოდა, რო საზოგადოთ აგებდა. არ ესიამოვნებოდა ამ საგანზე ლაპარაკი. ერთხელ-კი, ასე დილის მეოთხე საათი იქნებოდა, აკაკი მობძანდა კლუბიდან, კარების გაღებისთანვე შეეკითხა მსახურს, შენს ბატონს ძინავსო?

ბატონო, რასაკვირველია, ძინავს. მეოთხე საათია ახლაო, მიუგო მისმა ერთგულმა ელისომ. —წამოდი მასთან, გავაღვიძოთო. შემოვიდა, მკრა მძინარეს ხელი. . გამომეღვიძა. აკაკი იდგა სანთლით ხელში, ამოიღო უბის ჯიბიდან ქაღალდის ფულები, დაყარა ლოგინზე და მასთან შემომძახა: „აი, ხო ხედავ? შენ რო იჭვისთვალით უცქერი ჩემს თამაშს, მოვიგე, თუ არა ფულიო. მე როკარტს არ ვთამაშობდე, არ ვიცი, როგორ ვიცხოვრებდიო“ და სხვა... დავითვალე, 350 მან. აღმოჩდა. მითხრა, 200 მანათი შენ დაიტოვე და 150 მან. —კი მე ვიგულებ ჯიბეშიო. სანამ წასვლას არ დავადგე საჩხერეს, ამ ფულს ნუ მომკემო. მეც, რასაკვირველია, შევპირდი—შემენახა ეს ფული მის წასვლამდი. მეორე დღე იყო, თუ მესამე, კარგათ არც მახსოვს, მომთხოვა ფული. მე უარზე გავდექი, როდესაც წასვლას ვააპირებ, მე რიონის სადგურამდი გაგაცილებ, როგორც ჩემს დიდებულ სტუმარს და მეგობარს და იქ ჩაგაბარებ—თქო. მარა ჩემი ცდა და ჯიუტობა ფუჭი გამოდგა. მითხრა, მივდივარ და რაღაცებიც საყიდელი მაქვს სახლში ჩემი დისთვის წასაღებათო. რაღას ვიზამდი! მისი ფული იყო. მას არაფერი საყიდელი არ უყიდნია, დარჩა მას შემდეგ, კიდევ ათი დღე და საჩხერეს წასასვლელი გზის ფული ისესხა, ასე რო, კარტის მოკემული ფული, კარტმა სხვას გადასცა. ფულის შესახებ ანგარიშიანიც იყო. თუ წააგებდა, ან ისესხებდა, არ დაავიწყდებოდა თავის დღეში, ცდილობდა დაპირებულ დროზე არ გადაეცილებია, გადაეხადა.

რათგან ვხედავდი რო კლუბში სიარულით და ღამის ტეხით ილახებოდა, ხშირათ მქონდა მასთან ლაპარაკი ამის შესახებ, რო კლუბში სიარულს, თუ სულ არ მოიშლიდა, ადრე დაეტოვებია და დილამდი არ ეთია ღამე. მარა ჩემი ცდა ფუჭი გამოდგა. ჩემს დაჯინებულ თხოვნაზე, ერთხელ, მითხრა: სერგო, ვიცი კეთილი განზრახვა გალაპარაკებს. მარა დღეს რაღა დროს ჩემი გასწორებაა, სამოცდაათ წელს ბალე გადავაბიჯებო. მე, რაც ჩვეულებათ გადამქცევია, მიტოვება ახლა შეუძლებელია. მასთან კლუბში სიარული საჭიროც არი. მე იქ ბევრ რამეს ვიგებ და ვეცნობიო და ამასთან მიამბო ერთი ამბავი ივანე კრილოვის ცხოვრებიდან.

რუსეთის ბძანებელს, ნიკოლოზ I ძლიერ უყვარდა კრილოვი, უკანასკნელი ხშირათ იყო მასთანო.

ივანე კრილოვს გატაცებით უყვარდა კარტის თამაში. მთელი ღამეები კლუბში იყო, კარტის თამაშში ატარებდა დროს და დაღლილ-დაქანცული დილ—დილობით ბრუნდებოდა სახლშიო. ნიკოლოზმა, რო გაიგო თვის მეგობრის გატაცება, თხოვა, მიეტოვებია კლუბში სიარული და ფუჭათ დროს დაკარგვა კარტის თამაშში. მას ეგონა, კრილოვი ამ დროს იგავ—არაკების წერას მოანდომებდა და მით გაამდიდრებდა რუსულ მწერლობასო. მოახსენეს ნიკოლოზს, რომ ივან ანდრიასძე განაგძობს კლუბში კარტის თამაშს, რო მისმა რჩევამ მასზე არ გაჭრა. რამდენიმეჯერ კიდევ შენიშნა, მიეტოვებია კლუბი და, როდესაც დარწმუნდა, რომ უბრალო რჩევა არ მოქმედებდა, ბძანებაგასცა, მასთან კლუბში კარტის სათამაშოთ არავინ დამჯდარიყო. ნიკოლოზს ყავდა კაცები, რომ ედევნებიათ თვალ—ყური, როგორ მოიქცეოდა კრილოვი ამ განკარგულებას შემდეგ. მიატოვებდა ის კლუბში სიარულს, თუ არა. მოახსენეს, რო თუმცა კრილოვი ვერ შოვილობს მოთამაშეებს, მარა კლუბს მაინც ვერ ცილდება, ყოველ საღამოს დადის და სხვის თამაშს ადევნებს თვალსო. იგავ არაკების წერა სულ შეწყვიტა. გავიდა რამდენიმე ხანი და ერთი მეორეზე რამდენიმე იგავ-არაკი დაწერა კრილოვმა. ნიკოლოზის სიხარულს არ ქონდა საზღვარი. მას ეგონა და კიდევაც უთხრა თავის დაახლოებულებს, რო მისგან მიღებულს ზომებს კარგი შედეგი მოყვა ივანანდრიასძის შესახებ, მას შემდეგ, რაც მას მოესპო კლუბში კარტის თამაში. იგავ-არაკების წერა დაიწყო მან, აწი მისი ნიჭი უფრო გაბწყინდება, ბევრს შეძენს სამშობლო მწერლობასო. მართლაც, ხანგძლივ სიჩუმის შემდეგ, კრილოვმა იწყო წერა და ეს გარემოება ნიკო-

ლოზმა მიაწერა მისგან მიღებულ ზომებს მოარაკესადმი, რომ ის დრო, რაც კლუბში ეკარგებოდა კრილოვმა ახლა სულ იგავ-არაკების წერას მიანდომა. მარა ხელმწიფე დიდათ ცდებოდა მოახსენეს მისს უდიდებულესობას, რო რათგან პეტერბურღის კლუბში უმაღლესათ აკრძალულ იყო მასთან თამაში, კრილოვმა პეტერგოფის კლუბს მიაშურაო, ყოველ საღამოს პეტერგოფს მიდის თვისი ჯინის მოსაკლავათო. გაეცინა ნიკოლოზს, ეს რო გაიგონა და თქვა: ფუჭია ჩემი ცდა, როგორც მას სურს, ისე იცხოვროსო, იხმო და უთხრა, არ შეწუხებულიყო პეტერგოფს სიარულით, ისევ განეგძო თვისი დროს გატარება ადგილობრივ კლუბში.

ასე ჩემო კარგის მსურველო, მეგობარო! მე რო კლუბში არ ვიარო, წერასაც მივატოვებ. მე ხალხში ყოფნა, სულიერ ჩემი კმაყოფილებას გარდა, ბევრ მასალასაც მაძლევს წერისთვისო, დააბოლოვა მგოსანმა ამბავი. ამის შემდეგ, მას ჩემგან აღარ გაუგონია საყვედური, კლუბიდან უკან დაბრუნების შესახებ.

მახსოვს, ორი სამი დღის შემდეგ, მისი საწოლი ოთახიდან, გამომიტანა ლექსი „ბედნიერი მოხუცი“, რომელიც გავუგზავნე დასაბეჭდათ, როგორც მახსოვს, ვალ. გუნიას მის გზ. „საქართველოში“. ამ ლექსში მგოსანს თვისი თავი ყავს გამოყვანილი. აი, ეს ლექსიც:

ბედნიერი მოხუცი.

გულის სიმდიდრე, სულის სიმაღლე
სულ ტყვილია... სიტყვის მასალა!.
ნურავინ ამბობს! ვერ დამაჯერებს,
რო კუჭსა ქონდეს ერთად ერთს ძალა.

— . —

ვნახე მოხუცი, მადლ შემოსილი,
რო გლახაკივით დაჩანჩალობდა:
მშიერ მწყურვალი, შიშველ — ტიტველი,
გამორეული სხვებში, წვალობდა.

— . —

მარა მის სახეს, ნათელ—მოსილსა
ტკბილი ღიმილი არ შორდებოდა!..
იმისი სიტყვა, მისი პასუხი
ყველას, როგორღაც გულში ხვდებოდა.

— . —

ვერავინ ვნახე მისი უცნობი,
ახდილი ქონდა ყველასთან ფარდა!
პირში აქებდენ, ზურგს უკან გმობდენ,
სუყველას ძულდა და თან უყვარდა.

— . —

გავკვირდი... ცნობის მოყვარეობამ
გამომაფხიზლა და ამიტანა:
თუ სძულთ, რათ უყვართ? თუ უყვართ, რათ
სძულთ?
მსურდა შემეტყო ეს გამოცანა.

— . —

ვკითხე, მოხუცო, ვინ ხარ? მითხარი!...
მე გზა და კვალი შენი ვერ ვსცანი!
მან შემომხედა, ღიმილით მითხრა:
ვნ უნდა ვიყო? — მე ვარ **მგოსანი**!

— . —

არაფრათ მიჩანს ქვეყნის დიდება,
კუჭს არ ვაღმერთებ, თაყვანს ვცემ გულსა
და ვუგალობებ „თანასწორობას,
ძმობას, ერთობას და სიყვარულსა“.

— .

თუმც ჯერ-ჯერობით ამ ჩემ გალობას
არ ეთანხმება უმეტესობა
და ზოგ იმათგანს კუჭის მიმდევარს,
სიტყვები გულზე ეკლათ ესობა,

— . —

მარა მოვა დრო, ის სანეტარო,
როცა გაიგებს სუყველა მართალს
და მაშინ მხოლოთ ლოცვა კურთხევით
მოიგონებენ ჩემს გზასა და კვალს!

— . —

— კი, მარა, როდის? რომ არ იქნება
შენი არც ძვალი და აღარც რბილი?
— მე აწმყოში ვგძნობ იმ მომავალსა
და მით მექნება სიკვდილი ტკბილი!..

— . —

ეს მიპასუხა, აქვე დამტკბარმა
წმიდა, უბიწო მისის ოცნებით
და მაშინ მეც ვთქვი: ნეტავი იმას,
ვინც ცხოვრობს ქვეყნათ პატიოსნებით.

სერგ. ბახტაძე.

აკაკი.*)

(უცები)

აკაკი—გძნობის ჰანგია,
აკაკი—ერის გულია,
აკაკი—ხალხურ ოცნების
ზღაპართა თაიგულია!

—

თურმე—ამბობენ ზეცაშიც
ისწავლეს შისი კილოო,
ეთერისაგან ჩამოქნეს
ზღვის ფერი მარმარილოო
და ზედ დასწერეს ლექსები,—
—ლექსები-ქართულ ენითო,—
მღერიან ანგელოზები,
მღერიან აღმაფრენითო!

—

თურმე, როდესაც ამირან
გაგლეჯს ბორკილებ—ჯაჭვსაო,
როცა შეშრება ცრემლები
ნათელას შუქურ დაწვსაო,
მაშინ აკაკიც აღსდგება,
ციდან დაიწყებს მზერასო
და ახალ ჰანგით მოგვასმენს
ოცნების სიმთა ქღერასო!..

—

აკაკი—გძნობის ჰანგია,
აკაკი—ერის გულია,
აკაკი—ხალხურ ოცნების
ზღაპართა თაიგულია!

სიმ. წეველი.

---

*) ეს ლექსი ავტორმა წაიკითხა ქუთ. ქალაქის თეატრში გამართულ აკაკის დილაზე.

რედ.

თ. აკაკი წერეთლის თხზულებანი.

(ბიბლიოგრაფიული მოგონება)

წელიწადი შესრულდა, რაც დავკარგეთ დიდათ საყვარელი მგოსანი და ამ წელიწადის განმავლობაში არა ერთხელ აღძრულა საზოგადოებაში სურვილი, რო შეკრებულ იყოს ერთს გამოცემაში სულ, რაც დაუწერია თვით მას და, რაც დაუწერიათ აკაკიზე კრიტიკოსებს და ბიოგრაფებს. მარა გაკეთებულა რამ ამ საერთო სურვილის შესასრულებლათ, თუ არა-ჩვენ არ ვიცით.

რასაკვირველია, ძნელი მოსალოდნელიცყო, რომ ერთი წლის განმავლობაში ყოფილიყო ეს შესრულებული. მარა მაინც სასიამოვნო იქნებოდა გაგვეგო, რო საქმეს უკვე შევუდექით და საჭირო ცნობებს ვაგროვებთ.

მგონია, რო ძველი ჟურნალისტების ვალიიყო, ამის შესახებ ხმა ამოეღოთ და მკითხველებისთვის შეეტყობინებიათ ს.ელ, რაც იცოდენ აკაკი წერეთლის მოღვაწეობაზე. ცოტა რამე, ამ მხრით, რასაკვირველია, გაკეთებულა. მაგალითად, „განთიადში„ დაიბეჭდა რამდენიმე სტატია ხსენებული ხასიათისა. მარა ეს საკმარისი არ არი. მგონია, არც ერთი ისეთი ჟურნალი, ან გაზეთი არ გამოსულა ამ უკანასკნელ სამოცი წლის განმავლობაში ქართულ ენაზე, რო ჩვენ დიდებულ მწერალს არ მიეღო მასში მონაწილეობა.

მე, როგორც ერთ ძველ ჟურნალისტ თაგანს, ვალდებულობათ ვთვლი აქ აღვბეჭდო სულ, რაც ვიცი, ამ მხრით, განსვენებულ უკვდავ მგოსანზე.

პირველ 15-20 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც აკაკი წერეთელმა, დაიწყო წერა, მის ნაწერებს იშვიათად შეხვდებოდით ისეთ ჟურნალებში, რომლთაც დიდი გასავალი ქონდა საზოგადოებაში. ძველებს არ შეუერთდა და ახლებმა არ შეითვისესო-ასე ამბობდენ ყველანი. ძველები (მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი) დასცინოდენ, ახლები-კი პირს უბრუნებდენ-უყიდეო მწერალიაო. ეს იყო მიზეზი, რომ ახალგაზდა მგოსნის ნაწარმოებს ვერ შეხვდებოდით ისეთ გავრცელებულ ჟურნალებში, რო-

გორც, მაგალითად, "საქართველოს მოამბე„ და, შემდეგ, „ივერია", და ისინი იბეჭდებოდენ რომელიმე პატარა გამოცემაში, სადაც სიამოვნებით მიეგებებოდენ ნიჭიერ პოეტს.

ამით უნდა აღსნათ, რო 1879წელს მისი დიდათ ნიჭიერი ფელეტონი „ჯრიჭ და ხრაშ" (დალაქის თავგადასავალი) დაიბეჭდა ახალგაზდა უცნობ მწერლის.„ალმანახში" და არა სხვა უფრო გავრცელებულ გამოცემაში.

1878 წლის ბოლოს ბ-ნმა ნიკო ნიკოლაძემ. გადმომცა ხსენებული ფელეტონი და მე დიდი სიამოვნებით დავბეჭდე ის ჩემს „ალმანახში" მას შემდეგ, ეს პროზული ნაწარმოები აკაკი წერეთლისა, მგონია, არსად არა ყოფილა გადაბეჭდილი. მხოლოთ განსვენებულმა კოტე მესხმა რამდენჯერმე წაიკითხა ის სცენაზე და აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ეს მოთხრობა სწორეთ დიკენსის, ან გოგოლის ნიჭის ღირსია. იმავე წიგნში იყო მოთავსებული მიმოხილვა წინა წლის ქართულ მწერლობისა და მე, სხვათა შორის, გაკვრით ვწერდი ჩემს მოულოდნელ თანამშრომელზე შემდეგს:

„ამ მწერალს (აკაკი წერეთელს) ადრე ნაკლები მნიშვნელობა ქონდა მწერლობაში, ვიდრე ილია ჭავჭავაძეს. მარა იმიტომ-კი არა, რო პოეტაური ნიჭი იმაზე ნაკლები ქონოდა, არამედ იმიტო, რო დაშორებული იყო ის იმ ახალგაზდობას, რომელსაც დაჩდა რუსულ უკეთეს ჟურნალების ბეჭედი. მარა ერთ აკაკი წერეთელმა აიცილა სრულებით თავიდან ამ ჟურნალების გავლენა და იმის "მუშურს„ ილია ჭავჭავაძის ლექსებზე ნაკლებათ არ მოყავდა ალტაცებაში ჩვენი დაწინაურებული საზოგადოება.." იმავე სტატიაში თანაგძნობით არი მოტანილი ნაწყვეტი აკაკი წერეთლის ახალი ლექსიდან: „თვალების ახილვა".

მარა ხანგრძლივი არ იყო იმ დროს ჩემი ჟურნალისტობა და კრიტიკოსობა. გამოვიდა მხოლოთ ორი წიგნი „ალმანახისა" და, მას შემდეგ, მთელი ჩემი დრო და ძალა მოვახმარე ახლათ დაარსებულ. ქართულ თეატრს იმავ წელს შედგა ამხანაგობას, რომელსაც თავში უდგა დიმიტრი ყიფიანი და რომელმაც მომანდო პირველ სამუდამო დასის შედგენა. როცა დასი შევადგინე, რეჟისორი ვერ ვიპოვეთ. იძულებული გავხდი პირველ სეზონში მე თვით მეკისრა რეჟისორობა. როცა ყველაფერი მოვაწყვეთ, ორიგინალური პიესები დაგვაკლდა, და სწორეთ აქაც დიდათ მომეხმარა აკაკი წერეთელი. და წერა გაბუნიას საბენეფისოთ „კინტო„, რომელიც საზოგადოებას ძალიან მოეწონა. ეს პიესა სცენიურ ეფეკტებით იყო სავსე. ამან წაახალისა აკაკი წერეთელი და მან არამც თუ კიდევ სხვა პიესები დაწერა, არამედ იკისრა კიდეც რეჟისორობა და ანტრეპრენიორობაც.

პიესების გადათვლას აქ არ მოვყვები, რათგან ისინი რამდენჯერმე, დაბეჭდილი იყო და ყველას კარგათაც ახსოვს.

მას შემდეგ, ბევრმა დრომ გაიარა... მე სამსახურში შევედი და დროებით დავშორდი თეატრსაც და მწერლობასაც. 1891 წელს მე და ჩემმა ძმებმა ვითავეთ რუსული გაზეთის „ნოვოე ობოზრენიესი" გამოცემა. ჩვენ წინ ამ გაზეთს სტამბავდა ჯერ ა. ვ. სტეფანოვი (იმ დროს ძლიერ ცნობილი ადვოკატი) და, შემდეგ, ნიკო ნიკოლაძე. ნიკო-ნიკოლაძის რედაკტორობის დროს (1887-88 წ. წ.) დაბეჭდილი იყო ამ გაზეთში რამდენიმე ფელეტონი აკაკი წერეთელისა*) ჩემს რედაკტორობაშიაც აკაკი წერეთელი განაგძობდა თანამშრომლობას „ნოვოე ობოზრენიეში" (1892-94 წ. წ.), თუმცა იშვიათად და, შემდეგ, გადავიდა "კავკაზში" ამის მიზეზი ის იყო, რო მაშინ „ბანკობია" დაიწყო და მას მოყვა გამწარებული პოლემიკა... ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი შეეჯახენ ერთმანეთს. „ნოვოე ობოზრენიეს„ სურდა მიუდგომელათ გატეხილა ეს შეჯახება და პრინციპიალურის თვალით გაეშინჯა საქმე. არ ვიცი, მოახერხა. თუ არა ჩვენმა გაზეთებმა. მხოლოთ ორივე მხარე ჩამოეცალა მას: ჯერ ივანე მაჩაბლის და აკაკი წერეთლის მომხრეები, შემდეგ, ილია ჭავჭავაძის პარტია. ვინ იყო ჩვენში მართალი-ახლაც არ ვიცი...

„ნოვოე ობოზრენიემ" ოცდაორი წელი-

---

*) ამ ფელეტონებს იგივე ლიტერატურული ღირსებები ქონდა, როგორც სხვა აკაკის ფელეტონებს (მაგ. „ცხელცხელი ამბები). მხოლოთ ქართული ენა აკაკის უფრო მდიდარი და თავისუფალი იყო ვიდრე რუსული.

წადი მეტი იცოცხლა. რაც დაწერა აკაკი წერეთელმა ამ გაზეთში და, რაც დაწერეს სხვებმაც, იმაზე—ყველას შეუძლია იპოვოს იმ სიით, რომელიც დაბეჭდილია წიგნში „Новое Обозрѣніе за 20 лѣтъ“ (თფილისი, 1904წ.). აქ გადათვლილია ყველა სტატიები, რომელიც იბეჭდებოდა ამ გაზეთში.

გ. თუმანიშვილი.

მგოსნის აკაკი წერეთლის ვეცხლის და ოქროს ნივთების შეძენა.

განსვენებულის აკაკის სახლობას დარჩა ვეცხლის და ოქროს ნივთები, რომელნიც დაგირავებული იყო პეტროგრადის ლომბარდში. „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ საბჭომ განიზრახა ამ ნივთების შეძენა და გამართა მოლაპარაკება პატივცემული კნეინა ანასტასია ალექსანდრეს ასულის მაჩაბლის დახმარებით და მოურიგდა პატრონებს ას თუმნათ (1000 მ.). ვინაიდან საზოგადოების საბჭოს ამ თანხის გაღება ეძნელებოდა, ამიტო ცნობილმა ქველმოქმედმა ქბ-მა ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილისამ კეთილ ინება და ნივთების ფასის ნახევრის (500 მანათისა) ვადახდა იკისრა; დანარჩენი 500 მანათი-კი თვით საბჭომ გადაიხადა იმ იმედით, რო გამოჩდებიან კიდევ სხვა ქველმოქმედნიც, რომელნიც იტვირთებენ გაწეული ხარჯის ანაზღაურებას.

ნივთები უკვე ჩაიბარა საზოგადოების საბჭომ. აი, მათი სია: 1) დიდი ვეცხლის აზარფეშა, 2) ვეცხლის დიდი ფთა კალმით, 3) პატარა ვეცხლის ფთა კალმით, 4) ოქროში დაფერილი ვეცხლის ფინჯანი, ლამბაქი და კოვზი, 5) დადიანისეული ვეცხლის სურა, 6) ვეცხლის მოზდილი სურა, 7) ოქროში დაფერილი ვეცხლის პაწია სურა, 8) ვეცხლის სამარილე, 9) ოქროს ფთა კალმით, 10) ოქროს მედალიონი, 11) ოქროს ქნარი, 12) ვეცხლის თავიანი ჯოხი, ოქროს მონოგრამებით და 13) ოქროში შემკული ჯოხი. ყველა ეს მიურთმევიათ მგოსნისთვის სხვა და სხვა ქართულ საზოგადოებებს და თითქმის თითოეულ ათგანს აქვს შესაფერი ზედწარწერა.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის პატივცემულს ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილისას უხვი შემოწირულებისთვის.

ბიბლიოგრაფია.

ჩვენ თანა მემამულეს ბატ. მ. მ-საქ. სარატოვში რუსულათ შეუდგენია და პეტროგრადში დაუსტამბავს წიგნი: „Памяти Акакія Церетели“.

ღირსება ამ იშვიათი წიგნისა, რომელიც პატივცემულ ავტორს გულის დიდი სიფაქიზით დაუსტამბავს და მისი წმინდა მოგება მგოსნის სახლობაზე დაარსებულ ფონდისთვის გადაუდვია, ერთობ დიდი და მდიდარია. აკაკიზე, რო თქვას კაცმა, მცირეოდენი ლიტერატურაც არი დაწერილი რუსულ ენაზე. მარა ასეთი ყოვლის ღირსებით შემკული წიგნი, როგორც მახსოვს, პირველათ უნდა ისტამბებოდეს ქართველი კაცისგან რუსეთში და, იმედია, იგი მიიქცევს იქ ყურათღებასაც.

ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ნიჭიერი წარმომადგენელნი ამბოლო დროს გამოფხიზლდენ და დაადგენ ნამდვილ, უტყუარ საქვეყნო გზას. ისინი დიდი ხალისით და ენერგიით კიდებენ ხელს ჩვენი მრავალ-ფეროვანი ცხოვრების და ლიტერატურის სერიოზულათ შესწავლას და რუსთა საზოგადოების გასაცნობათ წერენ სტატიებს რუსულ გაზეთებში, სტამბავენ წიგნებს და ამ საშვალებით, შეძლებისდაგვარათ, აცნობენ რუსებს ქართველთა ცხოვრების და ლიტერატურის, ისტორიის დიდათ ღირს შესანიშნავს ამბებს და მოვლინებას.

ახლა სწორეთ დროც არი ამ ასპარეზზე მოღვაწეობისთვის. ახლა დაყუდებულ რუსის ბერებსაც-კი აღეძრათ სურვილი ჩვენი გაცნობისა და, რა უნდა თქვათ, უფრო მაღალი საზოგადოების და ინტელიგენციის შესახებ. ჩვენ აქ, ხან და ხან, რუსულათ დასტამბულ

წიგნების გამოცემითაც ბევრს ვერას გავხდებით... ჩვენ უნდა სერიოზულათ ვიფიქროთ რუსულ ენაზე პრესის შექმნისთვის... მარა ამას დიდი კაპიტალი უნდა, და ჩვენ ხო მანთაშოვები, აბა, სადა-გვყავს...

ასეა, თუ ისე, ჩვენი ღარიბი ინტელიგენციის კეთილშობილი წარმომადგენელნი მაინც ვალმოხთილნი არიან, რო ფხიზლათ ეკიდებიან ამ ნაყოფიერი და მადლიანი საქმის გაკეთებას და არ ანდობენ სხვებს, ვიგინდარებს, რომელთაც სრულიათ წარყვნეს ჩვენი ისტორია, ჩვენი ლიტერატურა, თლად ჩვენი ვინაობა და ცხოვრება რუსთა და ევროპელთა თვალში...

ამ საზომით რო გავზომოთ და გავსაჯოთ ჩვენი ავტორის სიმპატიური ნაშრომი, სწორეთ დიდი სიამოვნების გძნობა და ნუგეშიც გვებადება გულში, რომ ასეთი ხასიათის, ასეთი დახვეწილი ლიტერატურული ენით შედგენილ წიგნებს რუსულ ენაზე შეუძლია სრულიათ ახალი, გამაცოცხლებელი სიო, ახალი მჩქეფარე ნაკადული შეიტანონ რუსთა მოწინავე საზოგადოების პოლიტიკურს შეგნებაში, ახალი პოეზია შეგნებისა დაამკვიდრონ იქ ნიჭიერი და კეთილშობილი, პატარა ერის-ქართველთა შესახებ.

მაგონდება ერთი შემთხვევა ჩემი ყმაწვილობის ცხოვრებიდან. ქ. ადესაში სადილს გეახლებოდით ერთ ინტელიგენტ ქვრივის ოჯახში რომელსაც ქალ-ვაჟი პარიზის უნივერსიტეტში ეზდებოდა. ოთხი ქართველი ახალგაზდა ვიყავით, ოთხივე შავი თმით და შავი წვერ-ულვაშით შემოსილი. ერთი, თუ ორი თვის შემდეგ, როცა უფრო ახლოს გავიცანით ჩვენი მოხუცი, განათლებული დიასახლისი, გამოვკითხეთ ჩვენი, ქართველობის ვინაობის შესახებ და აღმოჩდა, რო ჩვენ მას კავკასიელი თარაქამა თათრები ვგონებივართ, რომელნიც ნახევრათ ველურ ცხოვრებას ატარებენ... ამ ფაკტს კამენტარებიც აღარ უნდა.

,,Памяти Акакія Церетели''-ს ავტორი დიდი საგნის ლიტერატურულათ დალაგების დროს არ გაუტაცნია ცალიერ ფრაზებს და პათოსებს, რომელიც, ადვილათ შესაძლებელია, ქართველ კაცს წაცდეს დიადი აკაკის ხსენებაზე. ავტორი ფხიზელი კრიტიკით იკვლევს თვისი შრომის საგანს და წერს, ისე ,,ოცხლათ, მდიდარის ენით და ესთეტიურის ზომიერებით, რო შიგ ამ წიგნში შეაქვს მას მთელი თვისი კეთილშობილი ქართველი კაცის გული და სული...

ეს არი მიზეზი, რო მკითხველი ძალაუნებურათ იხიბლება ამ წიგნის წაკითხვით, როცა გაათავებს მას, სულის სიამეს და ნეტარებასაც განიცდის.

მოკლეთ, ორიოდე მოქნილი, სხარტულათ გამოთქმული სიტყვებით, პატარ-პატარა თავებათ დაყოფილ სტატიებში, ავტორი ზედ მიწევნით ახასიათებს მეცხრამეტე საუკუნის ერთ უდიადეს ქართველ მგოსანს, რომლის ლირიკა ერთიანი, გაბმული სიმღერაა...

აკაკი იყო დიდი მეგობარი და დიდი მოძღვარიც თვისი მრავალ ტანჯული მშობელი ერისა, რომელიც მას ყოველგან უწოდებდა ,,ჩვენი აკაკი''.

ყველა თავები ამ წიგნში ერთიმეორეზე უკეთესებია. მარა ყველას ჯობია, ჩემი ფიქრით, მესამე თავი-Лебединая пѣсня'', მერვე თავი-,,Національный лирикъ'', მეცხრე თავი-,, Творецъ современнаго стиля'', მეთერთმეტე თავი-,, Расцвѣтъ таланта', და, უკანასკნელი, მეთორმეტე თავი-,, поэма Торникэ Эристави''.

წიგნის ბოლოს, დასტამბულია აკაკის პოემა- ,,გამზრდელი'' რომელიც რუსულათ შვენიერათ გადათარგმნილი აქვს განსვენებული გენერალ-ადიუტანტის, მიხეილ ამირეჯიბის სახელოვან კნეინას, ს. ვ. არღუთაშვილის მხარგძელის ასულს.

წიგნს პირველ გვერდზედვე აშვენებს პორტრეთი ჩვენი ქვეყნის სიმბოლო, მარად მომღიმარი, შუბლ გადაშლილი ,,ჩვენი აკაკისა".

წიგნი ძალიან ლამაზათ და ფაქიზათ,

პირდაპირ მდიდრულათ არი გამოცემული, დიდი ფორმატისაა, ძვირფას ქაღალდზეა დაბეჭდილი, 62 გვერდიანია და ღირს სულ 50 კაპ, რაც დღეინდელ დღეს ძალიან იაფია.

ხომლელი.

წმიდაო ნინო! *)

შენ განანათლე ქვეყანა ძველი,
ვაზის ჯვრით ხელში ერს მოევლინე,
ჩვენს აზრს აუგე სხვა საფუძველი,
და კერპთ ბოძონი დაგვაწყევლინე!

— —

ო, მწამხარ! მწამხარ! და ვცდილობ შვებით,
რო შენი ხსოვნა არ დავაკნინო,
რო შენს ძველ ლოცვებს ახალ სიტყვებით
კვლავ შენ გიძღვნიდე, წმიდაო ნინო!

კრიტიკული დახასიათება.

აკაკი.

I.

რა დიდათ დიდი და მდიდარი საუნჯე, უთვალავი განძი მარხია ამ ერთი უკვდავი საყვარელი სახელის ხსენებაში!

რა დიდათ დიდი დაუვიწყარი სანეტარო მოგონებანი, რა მდიდარი, მრავალ-ფეროვანი ცხოვრება არი ღრმათ ჩაჭრილი ყოველი ქართველის გულში ამ სახელის ხსენებასთან ერთად!

სწორეთ შარშან ამ დროს, ახალგაზდა მგოსანმა მწარეთ გულმოკლულ ქართველობას, აკაკის გარდაცვალების გამო, უთხრა, რომ აკაკიმ

„სულ უცვლელი უკვდავება ირგვლივ
დაამყარა...

საქართველოვ! მაშ, აკაკი არ მომკვდარა, არა“!..

და ყველა ქართველი მგოსანი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ორატორი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა, იმეორებდა ამ სიტყვებს.

აკაკი არ მომკვდარა! გულის დიდი დაჯერებით და სიმტკიცით ამბობს ახლაც ყოველი ქართველი. მოკვდა მხოლოთ მოხუცი სხეული და გაშორდა იგი დიად და ძლიერ სულს, რომელიც პირმომღიმარ მზესავით „დაქათქათებს“ ახლაც უბედიღბლო საქართველოს ცას.

აკაკი სრულიათ გასხვავებული, დიადი ორიგინალური მგოსანი —მწერალია ქართულს ლიტერატურაში. იგი არსად, არას დროს არ მსახურობდა, სრულიათ დამოუკიდებელი, თავისუფალი წმინდა კალმის კაცი იყო. ამ სამსახურს გარეშე სამსახური არც იცოდა მგოსანმა. აკაკი იყო „მიჯაჭვული ამირანის“ დიადი მგოსანი მოწოდებითაც და პროფესიითაც. მხატვრობა, წმინდა მწერლობა და ხელ უხლებელი შვენიერება ამ დიდი ქურუმისთვის იყო ტრაპეზი და ამ მხრითაც, მოგახსენებთ, აკაკი იყო დიდი ორიგინალი მთელს საქართველოში.

აი, სწორეთ ამაში მარხია დიდი სისრულე, სისპეტაკე იმისი ქალწულოვანი ტურფა ლირიკისა.

ამ გასაოცარს ლირიკას მხოლოთ თვისი ტანჯული მამულის ღრმა სიყვარული და ანგელოზური გულწრფელობა ასულდგმულებდა.

აკაკის დავიწყებული ქონდა თვისი პირადი გარეგნული პატივი და დიდება, რომელიც მას, დღეინდელ ჩვენ ყოფაშიაც, ადვილათ შეეძლო დაემსახურებია, როგორც დიდი ოჯახისა და გვარიშვილს ნასწავლს ადამიანს. მარა იმ თავითვე ეგ „თვალის მოსატყუებელი ზიზილ-პიპილები“, „ამ წუთისოფლის ჭრელა-ჭრულები“, როგორც თვით იტყოდა, ანაცვალა თვისი მშობლი ერის ჭირისუფლობას და მის განუსაზღვრელს დიადს სიყვარულს.

*) ეს ლექსი ავტორისგან გვიან მივიღეთ და ჟურნალის მხატვრულ განყოფილებაში დასტამბვა ვერ მოხერხდა.

რედ.

ამ ღრმა და უძლიერესი სიყვარულით ცეცხლ შემოდებული მგოსანი მღეროდა:

გული სარკეთ მაქვს ქცეული,
ენა საყვირათ ზე-ცისა...
სტვირის გუდა მაქვს ბლიაძის,
ქამანჩა ჭიბაძისაო.
დაბლა ქვეყნის ვარ მღერალი,
შემამკობელი ცისაო...

ასე ორი უბრალო ქართული სიტყვით და ასე მდიდრათ დახატვა სიყვარულის იდეალისა წარმოუდგენელია.

ამასთანვე აკაკი იყო ჩვენი ერის გულწრფელი დიდი ჰირისუფალიც, წინამძღვარი და ყოველი ახალი საქმის, ახალი საერო სულის თქმის, ახალი ცხოვრების ნაბიჯ[illegible]ის ნამდვილი და ჭეშმარიტი ალღოს ამღები.

უდიადესი, საამაყო მდიდარი გადმოცემანი და საქვეყნო ტრადიციები უშვენებდენ აკაკის დიდათ ნათელს, მდიდარს, შვენიერს, წმინდა მზიურ სახეს. იგი, მის ნიჭიერ ამხანაგებთან ერთად, ბელადობდა ბატონ-ყმობის მოსპობას ქართულ ლიტერატურასა და ცხოვრებაში, სკოლების და ბანკების ჩვენში დაარსებას, წერა-კითხვის და დრამატიული საზოგადოების დაარსება-აღორძინებას, სტამბების მოწყობას, ჟურნალ-გაზეთების და ქართულ წიგნების ბეჭდვა-გავრცელებას ჩვენი ქვეყნის არე-მარეზე. ჩვენ დიად საერო მგოსნის სახელთან მჭიდროთ შეკავშირებულია მთელი ქართველი ერის ნახევარ საუკუნეზე მეტი განვლილი ცხოვრება, მწუხარება და სიხარული, ჰირი და ლხინი...

აკაკის პირადი მტერი ჩვენში არ ყოლია. ისინიც — კი, რომელთანაც მგოსანს საქვეყნო საქმით გამოწვეული უკმაყოფილება ქონია, რომელთაც ლახვრათ გულში სობია იმისი სამართებელსავით მჭრელი სატირა და „ღიმილი“, იმისი შხამიანი კალმის წვერი, ისინიც-კი, როგორც წერს ერთგან მგოსანი, ვერ იმეტებდენ მას და უყვარდათ ნამდვილის და ჭეშმარიტი სიყვარულით. და უყვარდათ იგი იმიტო, რო ყოვლათ შეუძლებელია ცოცხალმა ადამიანმა არ შეიყვაროს ის, ვინც გახორციელებული მდიდარი სიცოცხლე, მღელვარე, საოცარ გძნობათა წარმომადგენელი და ენტუზიაზმით აღსავსე ტემპერამენტი იყო.

აკაკის თავის ხანგძლივ სიცოცხლეში ბევრიც უმოგზაურია, ბევრისგან ბევრიც რამ უნახავს. ამ მხრით მას დიდებული ქართველი პუბლიცისტ — კრიტიკოსი, ნიკო ნიკოლაძე თუ ჯობნიდა ჩვენში, თორე სხვა ვერავინ.

აკაკი მეტის მეტად აუჩქარებელი, დიდ სულოვანი ადამიანიც იყო. ტანადობაც და გარეგნული მოყვანილობაც გასხვავებული ქონდა მას. რაც უნდა ურიცხვს ხალხში გარეული ყოფილიყო იგი, უცხო ადამიანი აკაკის, მიუცილებლათ, ყურათღებას მიაქცევდა და მისი მდიდარი სახე ერთ წუთს მაინც დაატყვევებდა მას. აკაკის მოსრული, დიადი, წმინდა მეფური შეხედულობა იწვევდა ადამიანში დიდს პატივისცემას, განუზომელ სიყვარულს და სიმპატიას, რაღაც დიადი მიმზიდველობის ძალაც ქონდა მას. დიადი და მაღალი, თითქმის თეთრი მარმარილოსგან გამოკვეთილი ტანის კაცი, რომელსაც უშვენიერეს თავზე ხუჭუჭი თმა და წვერ — ულვაში მდიდრათაც ქონდა მიმადლებული, მისი მუდამ პირ მცინარი, ნათელი, უგონიერესი სწორი, კლასიკური სახე-ვის ყურათღებას არ მიიქცევდა. „ღიმილი“ აკაკისა იყო არა ჩვეულებრივი, რაღაც საოცარი და მომხიბვლელი. მის წყნარს, სიამით სავსე მუსაიფს და საუბარს წმინდა ბიბლიისებური უბრალოების, დიდი სიმარტივის და ამასთანვე დიდი განმაცხოველებელი სიტკბოებაც ქონდა. ჩემს დღეში აკაკი არ მინახავს თავის პირად საქმეზე აშფოთებული და გაბოროტებული, პირადათ ვინმეზე გაჯავრებული. ვერც წარმომიდგენია, თუ ამ არწიეს ოდესმე ვინმე გააჯავრებდა და გააფთრებდა...

II.

ვინც გულ დასმით და ღრმათ შეისწავლის აკაკის ცხოვრებას, თავგადასავალს, მის სალიტერატურო და საზოგადობრივს მოღვაწეობას, ვინც ფსკერამდი ჩაწვდება მის საოცარს ლირიკას, იგი დარწმუნდება, რო საქმე,

მართლაც, არა ჩვეულებრივ, დიად ქართველ ადამიანთან აქვს.

აკაკი ერთი უდიადესი, ჰაეროვანი იდეალისტი იყო, ამ სიტყვის ჭეშმარიტი და უაღრესი მნიშვნელობით, რომელსაც მთელი სულის თქმა და ენერგიული ძლიერი ტალანტის შემოქმედობა დიადი ეროვნული, წმიდა ანგელოზური პათოსით აქვს „ჩონგურზე“ ლექსებათ გამოთქმული და დამღერებული...

აკაკიმ ქართულ ახალს ლირიკაში მკვდრეთით აღადგინა შოთა რუსთველის და დიდი თამარის დროის ძლიერი, მოქნილი ენა, რომლის მდიდარ ფორმათა მრავალ—გვაროვნებასა და ცხოველ მყოფელობაში სრულიათ დაახასიათა თვისი საოცარი, მთის ნიავსავით უსუბუქესი, უზენაესი და უნაზესი ლირიკა.

„აკაკი დიადი საერო მომღერალი-მგოსანია, ქართველი ერის დღეინდელი დღის ჭირვარამის დიდი დამტირებელი და აღმოხატველია. მარა ამით ერთ წუთსაც არ გაუწყვეტია მას წარსულთან კავშირი. ქართველთა ერის გიგანტურს თავგადასავალში, იმის სახელოვან მამულის შვილთა და გმირთა სულის თქმაში აკაკი პოულობდა ჩვენი დროის გულის და სულის ამაძიგძიგებელს, ამპრიალებელს უმწარეს ტრაგიკულს მომენტებს.

ამ დიდებულს ოვერიელს ბევრ რამე საქვეყნო საქმეებზე დაუღვრია საიდუმლოთ ცრემლები, ბევრ რამეზე აღუძრავს ღრმა ჭრილობანი ქართველი კაცის გულისა და ღრმათ გამსჭვალულა იმისი ყოველდღიური ბედით და უბედობით. ჩვენი ცხოვრების ყოველივე წვრილმანი მოვლინებანიც-კი სარკესავით იხატებოდა აკაკის სიტყვებსა და ნაწერებში და ეს უთვალავი, მდიდარი ჩაბეჭდილებათა ნაზი ლირიკა, ლირიკა მთელი ერის მწუხარებისა, სიხარულისა, სიყვარულისა, ჭირისა და ლხინისა თითქმის ონტოლოგიური, ისევე ახასიათებდა მას, როგორც სამოქალაქო, დღეინდელ მწვავე და მდუღარე ცხოვრების ძლიერი მოტივები...

აკაკის ლირიკა იქაც-კი ღრმათ გამსჭვალულია ნაციონალური ცოცხალი მოტივებით, სადაც იგი უმღერის თვარესა და ვარსკვლავებს და წმინდა სიყვარულსაც. აკაკის ლირიკა უაღრესათ სიმბოლიურია და ცოცხალი რეალიზმის სულით აღსავსე.

აქ—კი აკაკი ქართველ ლიტერატურაში იალბუზივით ცალკეა, სრულიათ მარტოთ მარტო დგას ჩვენი თვალის წინ და, ჭეშმარიტათ, გაუქრობელ უკვდავებასავით ანთია და საქვეყნოთ იწვის...

სოფლიო ლიტერატურამ იცის ამ ნაირი მაგალითები. დიადი, ჰენიოსი მგოსნები განახლებული იტალიისა, საბერძნეთისა, ირლანდიისა, პოლონეთისა და უკრაინისაც „ჩვენი აკაკივით“ მშობელ ქვეყანას და ხალხს თავს ევლებოდენ, მთის შიკრიკი, სუბუქი, ცელქი ნიავივით მას დასტრიალებდენ და ხატავდენ თვისი მრავალტანჯული ერის ჭირსა და სიხარულს...

აკაკის ლირიკას ვერ უდგება უსამართლობით და ბოროტებით გაჟღენთილი კრიტიკა, ვერ უდგება ვერც სეკტანტის წრეს გადასული ფანატიზმი და სიძულვილი. აკაკი ყოველი პარტიის, ჯგუფის და სეკტის გარეშე იდგა, რათგან თავის დღეში არ უწერია ლექსები, ფელეტონები და სტატიები პარტიის, ჯგუფის და სეკტის პრაგრამების თანახმათ და იმათ გულის მოსაგებათ. არც რუსულ და ქართულ გაზეთების მოწინავე სტატიები გაულექსავს არას დროს ახალმოდის წყალ—წყალა „პოეტებსავით“...

აკაკის თვისი საკუთარი, ინდივიდუალური დემოკრატული და ოპოზიციური სულის თქმა ქონდა თანდაყოლილი და ამას ერთს წუთსაც არ გაშორებია. ამ თვალ საზრისით, აკაკი უდიადესი ზნეობრივი პიროვნებაა, რომელსაც ტალახი, ქვენაგძნობა და ბოროტება ვერ ეკარება...

აკაკი სრულ და რთულ ფსიხიკის ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნოდა. მასში, როგორც ფოკუსში, ჯადოსნურათ იყო შეერთებული სიყვარული და სიძულვილი, სიტკბოება და სიმწარე, სიხარული და მწუხარება, თაფლი და შხამი. და ეს ერთი მეორის წისააღმდეგობანი ისე

მადლიანათ იყო მგოსანში შედუღებული, რომ იგი, ამ მხრითაც, დიდ უცხო სანახაობას წარმოადგენდა...

აკაკის ძლიერი და ტანმთელი გულიდან ღრმათ ამოხეთქილი ლირიკის ნაზი, წარმტაცი ხმები სტიქიურ შვენიერების უწმიდესი ძალაა, რომელიც უსაზღვრო გამწარების წუთებშიაც, როცა იგი შურსა და სიძულვილს, ზიზღს გამოთქვამს, ბძოლაზე და „ხანჯალზე“ ლესავს თვის ნაღველს, მაშინც-კი უდიდეს ადამიანურს ღირსებაზე, თავისუფლებაზე, მაღალ ზნეობაზე და სამართლიანობაზე უთითებს ქვეყანას და ხალხს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საშინელ რეაქციის დროს,

ჩვენმა უდიადესმა დემოკრატმა და ოპიზიციონერმა, დიდმა მგოსანმა „ხანჯალს“ მიმართა და მტრისგან გამოხსნის ერთად ერთ იდეალათ იგი აღიარა:

შენი ჭირიმე, ხანჯალო,
რკინაო ხვარასნისაო,
შენ ერთად ერთო იმედო,
მტრისაგან გამოხსნისაო.
გლესავ და გლესავ, მახვილო,
ამოგიფერავ გულსაო,
შენ უნდა ეძმო და ეყმო
უმართლოთ დაჩაგრულსაო.
ნესტარიცა ხარ, ბასრიც ხარ,
ორივე გვერდით მჭრელიო,
გპატრონობს გული ფოლადი
და გიპყრობს რკინის ხელიო.
მისი გამჩენის ჭირიმე,
ვინც, რო შენ გამოგეედაო;
ჭირიმე, შენი ჭირიმე,
მტერს აუტირე დედაო.
ბევრი ნაღველი შეასვა
ურჯულომ ამ ჩემ გულსაო,
შენ მიმკურნალე, მახვილო,
უმართლოდ დაჩაგრულსაო.
მიმოციქულე მტრის გულთან
მიუძღვენ ჩემი სალამი:
ის ვითომ საწერელია,
ჩაერეკვე, როგორც კალამი.
მისი წითელი მელნითა
შემაღებინე ჭაღარა,
იმისი კვნესა იქნება
ჩემთვის დაფი და ნაღარა*.)

უდიდეს პოეტურს და მორალურს უაღრესობის საზღვარს აღწევს აკაკის ლირიკა იმდროს, როცა მისი შვენიერ, ედემის მსგავს, ტკბილ საქართველოს განვლილ გოლიათურ უბედურობას წარმოიდგენს. ამდროს ...,,ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და, ან ცაზე ვარსკვლავები''... მგოსნის ისტორიული, პოეტური აღწერილობანი (პოემა „თარნიკე ერისთავი''), ეპიური, აშკარა ამირანისებური გულის გამწარებანი ისეთი ძლიერია, ღრმა, ისეთი მკვეთრი და მჭრელი, რო მე არვიცი ამისი ბადალი არცერთ ენაზე ჯერ დაწერილი.

აკაკის ლირიკამ ძლიერი, არწივის ფთა შეასხა ქართველობას და მას დაუსახა წმიდა, დიდი და სპეტაკი იდეალი. მან ამცნო ქართველს, რო ქართველმა, უნდა შესწიროს თვის ქვეყანას და მის დემოკრატიას სიცოცხლე... სულიც.

,,ვინც მამულს სრულათ სულსაც არ სწირავს, იმას არ ეთქმის მამულის შვილი...''

და, აი, თვით საკუთარი, პირადი მაგალითიც. მეცხრამეტე საუკუნის,, ფერ მიხთილი საქართველო'', ,,ცხრაკლიტულში მჯდომარე ნესტანი'', რომელიც ქაჯებს ყავთ დატყვევებული, მან გააღმერთა და მის გათავისუფლების დიდ საქმეს შეალია თვისი მდიდარი და უნიჭიერესი სიცოცხლე...

თვით დიდ მოძრაობას, ამ ათი წლი წინათ ამტყდარს საქართველოში, ასე წოდებულ, გამათავისუფლებელ მოძრაობას, ვინ მოუმზადა

*). ეს შასანიშნავი ლექსი იმ წამსვე პოლონეთში იქნა გადა-არგებილი და, როგორც წერდენ მაშინ, ყოველ ოჯახში როიალზე ამღერებდენ მას. აკაკის ამ ლექსმა იქ ჰენიოსის სახელი მოუპოვა და ადამ ბერნარ მიცკევიჩს ამოუყენეს გვერდში. ამ ადამზე ჩვენ მალე ცალკე სტატიას გვექნება დასტამბული.

ავტ.

ნიადგი ჩვენში, თუ არ აკაკიმ. მთელი ამ დიდი მოძრაობის ბელადები და არატორები აკაკის ღვიძლი შვილები იყვენ, რომელთაც კარგათ ხედავდა ჩვენი საერო ლირიკის მეფეთამეფე... აკაკის აპრიალებულმა, ცეცხლმოდებულმა, მდუღარე ენამ აამეტყველა ისინი „აკაკურათ", გაბედულათ და მამაცურათაც... აკაკიმ ხომ უტკბილესი ლექსები მოფინა საქართველოს, „მიჯაჭვული ამირანის" გასათავისუფლებლათ და, აი, გამბედავი, მამაცი საქართველოს შვილებიც ძველ, თავიანთ მამებივით, მხნეთ, თავდავიწყებით დაიძრენ,, მიჯაჭვულ ამირანის" გასათავისუფლებლათ...

მე აქ გავბედავ ერთი აზრის გამოთქმას, რომელსაც, ვფიქრობ, პარადოქსათ არავინ ჩათვლის. მე მგონია, სამოციანი წლების მოღვაწე არ შეიძლება ვუწოდოთ აკაკის. არავითარი ვიწრო საზომი მოკლე დრო-ჟამისა არ მიუდგება ისეთ დიად, არიგინალურ მგოსან-მწერალს, როგორც აკაკია. განა შეიძლება ვუწოდოთ ნიკოლოზ ბარათაშვილს მგოსანი ორმოციან წლებისა?

რა თქმა უნდა, რაც უნდა დიადი და არიგინალური ტალანტის პატრონი იყვეს მწერალი, იგი, მიუცილებლათ, ღვიძლი შვილია თვისი დროისა და მის ნაწერებში ყოველთვის იხატება ფიქრნი და მისწრაფებანი, სურვილები და აზრები თვისი თანამედროვე საზოგადოებისა, და აკაკის ნაწერებშიაც ჩვენ ვკითხულობთ ყველა იმ აზრებსა და გძნობებს, რასაც ემსახურებოდა 60-იან წლების ინტელიგენცია და საზოგადოება...

არიან მწერალნი, რომელნიც ემსახურებიან პირდაპირ თვისი დროის საქმეს, თვისი ეპოქის მოთხოვნილებას და, ამ მოთხოვნილების მოსპობისთანავე, სცენიდან გადიან. ამგვარ მწერლების კატეგორიას ეკუთვნიან რუსეთში ნეკრასოვი და პლეშჩეევი. ისინი, თვისი ნიჭის შეძლების და გვარათ, წვდებიან იმას, რაც ძლიერ აღელვებს და ამოძრავებს მათ დროს და იმის იქით, იმის გარეშე ორგანიულათ გავითარება არ შეუძლიათ. ეს პოეტები კვდებიან იმ წამსვე, რა წამსაც მოკვდა და დაიმარხა ის დიდი საგანი და იდეა, რომელსაც შეტრფოდენ და აღმერთებენ. ისინი იმიარაღს და ინსტრუმენტს მოგვაგონებს, რომელიც ერთ ხმაზე, ერთ კილოზე მოუწყვიათ... სანამ ცხოვრებაში არის ესეთი ხმა და კილო, ისინიც ეოლის ქნარივით, ბანს აძლევენ და იმეორებენ ამ ხმას. ამაშია მათი ძალაც და უძლურებაც, ამაშია მათი საზოგადო მნიშვნელობა და უმნიშვნელობაც...

მარა არიან ისეთი მგოსანნი და მწერალნი, როგორც აკაკი, რომელთაც განსაზღრულ დროს და მოთხოვნილებას ვერ დავუკავშირებთ მხოლოთ იმიტო, რო ისინი არიან გამომხატველი ყოველი დროის მოთხოვნილების, ათასნაირი სურვილების და აზრებისა. ყოველი ადამიანური გულის თქმა, აზრები და გძნობანნი პარუხს პოულობენ მათში და, როგორც სარკე, ისე ხატვენ მრავალ გვარ, მრავალ ფეროვან ცხოვრებას, რათგან თვით ეს მგოსანი არიან მრავალ გვარი, დიადი და მდიდარი ტალანტით დასაჩუქრებულნი.

„ჩვენი აკაკიც"... აქ არი. მან გამოხატა ქართველი ერის ცხოვრების განუსაზღვრელი მრავალ გვაროობა, განურჩეველათ წოდებისა, სქესისა და ასაკისა. აკაკიმ ასწერა ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე და კუნჭული: იმერეთი, ქართლი, კახეთი, გურია, სამეგერლო, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი თვისი ეზოგარემოთი, ჭირით და ლხინით, ასწერა ჩვენი ქვეყნის ქალაქები და სოფლები, ბაქოდან მოყოლებული ბათომამდი, ჩვენი ინტელიგენციის, საზოგადოების და ხალხის გულის თქმანი და მისწრაფებანი... სამოციან წლების ეპოქის გძნობანი ისე მდიდრათ იხატება მის ნაწერებში, როგორც 70 იან, 80-იან, 90 იან, 900-იან, გძნობანი და იდეალები. აბა, გაითვალისწინეთ იმისი მოღვაწეობა„ ცისკარსა„-და "დროებაში„, მერე "კრებულ-დროებაში„,შემდეგ„ ივერიასა„ და„ დროებაში,, ''შრომაში,, 1889 წლ. „თეატრში,,' ,,კვალში,,' აკაკის, „კრებულში'' და,, თემში„... უაღრეს წერტილს აკაკის შემოქმედობამ მიაღწია 80 იან წლებში როცა მან გაამდიდრა ქართული ლიტერატურა პოე-

მებით, დრამა—პიესებით და ურიცხვი პატარა შესანიშნავი ლექსებით.

ყოველისფერი გამოხატა აკაკის სასწაულმომქმედმა ქნარმა, რომელიც გასაოცარი მდიდარი ქართული ენის ფორმების სიშვენიერეში არი სულ ერთიანა გახვეული. ქართლოსიანთა ერის ნახევარი საუკუნის შემოქმედობამ აკაკის დიად ტალანტში პოვა თვისი სრული და ჭეშმარიტი გამომხატველი...

III.

ისეთი დიადი ლირიკოსი-პოეტი, როგორც აკაკი, ვერც მონახავდა ისეთს უაღრეს, უნაყოფიერეს და უშვენიერეს საგანს მთელს —ქვეყნიერებაზე, როგორც ეროვნებაა.

ყოველი თვე და დღე, ყოველი საათი და წუთი იმის გათქმულ მუზას ეძლეოდა მიზეზები და საბაბიც შხამნალველით და სარკაზმითაც სავსე ლექსების წერისთვის. ღრმა მოხუცებულობაშიაც, როცა მწარე-შიმშილი და დიდი უბედურობაც თავს დატეხია, ბევრჯელ ავათმყოფობა და სასოების, იმედების სხივებიც თითქმის გაქრობია და ისეთ პირობებში ყოფილა, რო ნაცარი უნდა თავზე დაეყარა, წისქვილის ქვა გულზე დაეკიდებია, ხელში ყავარჯენი დაეჭირა და ეგვიპტიდან გაქცეულ ებრაელივით გაცლოდა უსაზღვრო უსამართლობას (აკაკი მეტეხის ციხეში,), ენით გამოუთქმელ ვერაგობას, იგი თხზავდა საოცარ ხმებით შეზავებულ ლექსებს და სტატიებს...

ვერაფერმა ვერ გასტეხა ეს ადამიანი! იგი თვით ღრმა მოხუცებულობის დროსაც მოწოდებული იყო დიდი საქმის წმიდა სამსახურისთვის. არ იყო არც ერთი სურვილი, არც ერთი იმედი და სასოება, არც ერთი დიდი, საქვეყნო საქმე მისი დიდათ სათაყვანებელი მამულისა, რომ იმის გულსა და სულს გამოძახილი არ მიეცა.. გაიცხოველეთ თქვენს მახსოვრობაში იმისი წინასწარმეტყველებრივი მოჩვენებანი, გაფრთხილებანი, იმისი აფრთოვანებული წერილები პროზითაც დაწერილი და ისე შეაფასეთ კრიტიკულათ ეს საოცარი დიდი ივერილი წვენი დროისა. ყველაფერი, რის მოცემა-კი შეეძლო უწმიდესი, უშვენიერესი და უტურფესი ეროვნების დიდ იდეებსა და მოქმედებას, ყველაფერი, ვამბობ მე, მოგვცა აკაკიმ. ჯერ საქართველოში, არც წარსულ, არც აწმყო ცხოვრებაში ასეთი გასაცვიფრებელი ტალანტით ამ დიადი საგნითვე არ უსარგებლია არც ერთ დიდ მამულიშვილს.

მარა აქ იბადება დიდი საკითხი: რააძლევდა უსაყვარლეს მგოსანს, "ჩვენს აკაკის„ ასეთს უძლიერეს ძალას, ასეთს გაუტეხელობას, რომ ასეთის დაუშრეტელის ენტუზიაზმით ემსახურებოდა ამ„ ცხრაკლიტულში დამწყვდეულ სატრფოს.„

მე მგონია, ამსაკითხზე ფრიხო ისტორიულ კრიტიკას შეუძლია მოგვცეს გადაჭრილი პასუხი .

სარწმუნოება, ან უფრო უკეთ, მოკლეთ ვთქვა, რწმენა ჩვენი ერის უკვდავებისა-„ არ მოკვდარა, მხოლოთ ძინავს და ისევე გაიღვიძებს„- სასწაულებრივ აფრთოვანებდა აკაკის და იგი მხოლოთ და მარტო საოცარი პოეტური ინსტრუმენტი იყო უდიდესი კოლეკტივური ძალისა.

წარმოადგინეთ ერთ წუთს, რა უძლიერესი ულრმესი და უსაზღვრო პოეტური აღმაფრენა, აღტაცება და ცეცხლი ულნდა დანთებულ იყო, აპრიალებულ იყო აკაკის გოლიათურ გულში, როცა იგი ღრმათ დარწმუნებული იყო ერთი ადამიანის წუთიერი, უნიადაგო ჩაბეჭდილებათა და გძნობის გამომხატველი კი არა, არამედ მთელი ქვეყნის, მთელი მომუშავე მაბძოლ საქართველო შვილების პოეტი იყო მთელი ნაციის ახალი სურვილებისა და იდეალებისა. მაშინ ჩვენი აკაკი„ იღებდა კალამს, სისხლშინაწერთოკალამს და ქმნიდა ნაწარმოებს და ამით იგი ასრულებდა დიდ რელიგიურს მისიას ისე, როგორც ურიასტანის სახელოვანი წინასწარმეტყველი იერემია.

და არც არას დროს არგაუცალევებია აკაკის თვისი პირადობა კოდეკტივურ პიროვნებისგან, რომლის გულწრფელი გამო-მხატველი და ინსტრუმენტიც იგი იყო....

ამიტომაც, დიდათ მართალ იყო ნაფიკი ვეჭილი, აღი-მარდან-ბეგ ტოპჩიბაშევირო შარანშ

8 თებერვალს, აკაკის კუბოსთან საქვეყნოთ წარმოთქვა: შენ, დაუვიწყარო მგოსანო, უკვდავ ყავი თავი შენი და ერი შენი, რომლისთვის მარტოოდენ აკაკის სახელი კმარა, რო განათლებულ და კულტურულ ერათ იქნეს აღიარებულიო.

ხომლელი.

ცოტა რამ აკაკიზე.

(მისი გარდაცვალების წლის თავის შესრულების გამო).

„ის არ მომკვდარა, ის ჩადნა
უკვდავათ ხალხის უბეში“.

წელიწადი უკვე შესრულდა, რაც ჩვენი ერის საუკეთესო შვილმა, მგოსანმა აკაკიმ—დასტოვა თვისი ძვირფასი „ცაფირუზ-ხმელეთ ზურმუხტი“ მხარე... ერთი წელი შესრულდა, რაც დიდებული მამულიშვილი გამოეთხოვა სამუდამოთ მშობელ ერს...

მარა, რას ვამბობ!. აკაკისთანა ადამიანები ხო სიკვდილითაც არ ეთხოვებიან თანამემამულეებს. აღარ არი მხოლოთ აკაკის სხეული,—ბინა იმ დიდებულ ნიჭისა, ბინა იმ უმწიკვლო სულისა, რომელიც ჩვენთან დარჩა და იქნება, სანამ ქართველი ერი იცოცხლებს.

აკაკის იუბილე, აკაკის გასვენება მუდმივი მოწამე იქნება მისი, რო მგოსანმა მოიპოვა სამუდამო ბინა თვისი მშობელი ერის გულში.

აკაკი ბედნიერი მგოსანია!.. მან საზოგადო სიყვარული დაიმსახურა თვისი უტყუარი ნიჭის წყალობით. ყველა მოხიბლულია აკაკის მუსიკალურ—არმონიული ლექსებით, როგორც მაღალნასწავლი, ისე უბრალო წერაკითხვის მცოდნე, როგორც დიდი, ისე პატარა, როგორც გლეხი, ისე აზნაური, როგორც მთიელი, ისე ბარელი.

ან-კი ვინ არ შეიყვარებს აკაკის, ან-კი ვინ არ იქნება მოხიბლული მისი მაღლიანი კალმით. რომელი ქართველის გულში არ ექნება ადგილი დიდებულ მამულიშვილს?...

აკაკი ხო ნამდვილი მოციქული იყო, რომელიც ერემიასებ დასტიროდა საქართველოს დაცემას, დაქუცმაცებას, მამულის შავბედით სვეს; აკაკი ხო ძლიერის გამომეტყველის ენით ხატავდა ქართველთა სისუსტეს, სამარცხვინო მონობას, სილაჩრეს; აკაკი ხო ნამდვილი ნუგეშის მცემელი იყო მრავალტანჯული მშობელი ერისა; აკაკი ხო მუდამ უქადდა თანამემამულეებს ბწყინვალე მომავალს; ის ხო მუდამ უნერგავდა მათ ვაშაკურ სულს, გამაცოცხლებელ იმედებს; აკაკი ხომ ადამიანი იყო, რომელსაც:

„ავაც და კარგიც მას გაეგება,
თვით არ იზამს ავს, სხვის ავს იცილებს,
მოძმეთ უმანკოთ ემსახურება
და სიცოცხლესაც მითი იტკბილებს.
ხან ტრედებ აღმა ფრენს მოწიწებით,
ხან გველივითა ქვესკნელში ძვრება,
მარა ყოველთვის თვის მოქმედებით
ის მხოლოთ მოძმეთ ემსახურება!!“

დიდებული მგოსანია აკაკი!. შეუძლებელია მისი დავიწყება. აკაკი მიტო უფრო დაუვიწყარია ქართველებისთვის, რომ ის მოევლინა მათ არაჩვეულებრივ ხანაში: ეს დიდებული მამულიშვილი დაიბადა შავხანაში, აღიზარდა შავხანაში და გაანათა შავხანაში.

ვინ მოთვლის, ჩვენი ერის ცხოვრებაში გამეფებულ დუხჭირ პირობების გამო, რამდენი ნიჭიერი ახალგაზდა ჩადის საფლავში სრულიათ უკვალოთ, უმნიშვნელოთ! ვინ მოთვლის, ეროვნულ ნიადაგს მოკლებული სწავლა აღზდის წყალობით, რამდენ აკაკის ეხურება ნიჭი, ეხმობა გონება და ხდება საზოგადოებისთვის ზედმეტ ბარგათ...

რამ გადაარჩინა აკაკი? რამ შეუწყო ხელი მის ბუნებრივ ნიჭის ზდა-გავითარება-გაფურჩქნას?

ეჭვს გარეშეა, რომ აკაკის ხელს უწყობდა ცხოვრების ზოგიერთი პირობანი. ამით და მხოლოთ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ აკაკი, ბუნებით უხვათ დაჯილდოებული ახალგაზდა, სასურველ გზას დაადგა,

მისი ნიჭი გაიფურჩნა, გაიზარდა და მოიტანა ნაყოფი მშობელი ერის სასარგებლოთ.

უპირველეს ყოვლისა არ უნდა იქნეს სიმართლეს მოკლებული, თუ ვიტყვით, რო პატარა კაკოზე, მომავალ დიდებულ აკაკიზე, მის ფანტაზიის ზდა-გავითარებაზე ექნებოდა თვისი ზეგავლენა საჩხერის მგოსნის სამშობლო-სოფლის მომხიბვლელ მდიდარ ბუნებას.

ზემო იმერეთში ტყვილა დავუწყებთ ძებნას ალაგს, რომელიც თვისი სიშვენიერით საჩხერეზე წინ იდგეს. საჩხერე ერთი საუკეთესო სოფელთაგანია: იგი უხვათ არი დაჯილდოებული სხვა და სხვა ბუნების მომხიბვლელი სურათებით: აგერ, უზარ-მაზარი მთები „თითქმის ცას ებჯინებიან“ და იქიდამა ს. საჩხერეს „ამაყურათა თავს დაცქერიან“. საჩხერეს აშვენებენ ამ უზარ-მაზარი მთების „ძუძუ-მკერდიდან ჩამონადენი“ და შემდეგ მოდუდუნ-მოჩხრიალე-მოსრიალე მდინარენი:

„მარცხნით ჯრუჭულა, ყვირილა მარჯვნით,
ჩიხურა კორდის შუა მდინარე
ნანას მღერიან დაბალის ხმითა
და ბანს აძლევენ მათ არე-მარე!!

ყოველ ფეხის გადადგმაზე საუცხოო ყინულივით ცივი წყაროები და ნაკადულები, ლამაზი ბაღები და ტყე-ბორცვ-ბუჩქნარები, სახნავ-სათესი ხოდაბუნები და უმაღლეს ხარისხამდი სასიამოვნო და სასარგებლო ჰავა—ყველა ეს მომხიბვლელ მდიდარ სურათს წარმოადგენს. ეჭვს გარეშეა, რომ ამ სოფლის თვალწარმტაც ბუნებას თვისი ზეგავლენა ექნებოდა მომავალ მგოსანზე.

აკაკი ჯერ კიდევ ერთი წლის არ იქნებოდა, როცა მშობლებმა ის მიაბარეს ძიძას, სოფ. სავანეში, რომელიც, საჩხერის არ იყოს, ყოველ ნაირათ დაჯილდოებულია ბუნების სიშვენიერით. აქ, ამ სოფელში, მომავალმა დიდებულმა ქართველმა გაატარა ექვსი წელი-უდარდელი ხანა ბავშობისა.

ამ გარემოებას, რომ აკაკის არ გაუტარებია ბავშობის ხანა მშობლის ოჯახში, დიდ მნიშვნელობას მივაწერთ, თუ გავითვალისწინებთ მოკლეთ მაინც, რას წარმოადგენდა მგოსნის ბავშობის დროს თავადის ოჯახი, რას წარმოადგენდა გლეხის ოჯახი და, რა ზეგავლენას იქონიებდა, ან ერთი, ან მეორე მოზარდი ახალგაზდის ბუნებაზე.

მაშინდელი თავადის ოჯახი—ეს იყო მთელი სასახლე, სადაც ფუფუნებას, ლხინსა და ზეიმს მოეკალათებია. თავადი ხონამდვილი თვით მყრობელი იყო, რომელიც თავის ნებაზე განაგებდა გლეხის ბედ—ილბალს, თავის ნებაზე გადადიოდა „ოთურმას“ გლეხის კისერზე და სრულიათ პასუხის მიუცემლათ წუწნიდა მას სისხლს. თავადის ოჯახი სავსე იყო ორთავე სქესის მოსამსახურეებით; რა და რა დანიშნულებისა და სახელის არ იყვენ ისინი: გამდელი, მოახლე, მზარეული, ხელოსანი, მერიქიფე, მეჯინიბე, ხაბაზი, ფარეში და სხ. ყველა ისინი ნამდვილი ყურ მოჭრილი მონები იყვენ თავიანთი ბატონის და ქალბატონის ხელში.

ყურდღლობა, ქორ—მეძებრები, აზარ ფაშა—კათხ—ყანწების ტრიალი, მრავალჟამიერ—ვარხალალოს სიმღერები: სრულიათ უდარდელი და ულაქმო დროს ტარება, ძილი, ურჩი მოსამსახურეების ცემა ტყეპა—აი, რა იყო აკაკის ბავშობის დროს თავადის ხელობა.

პრანჭვა—გრეხვა, კრიალოსანი, ფერუმარილი, ჩიხტა—კოპი, გოგოებ—გამდელების ტუქსვა, ქრმების გლეხებზე წასისიანება, ჭორიკანობა, ცრუმორწმუნობა, სიზარმაცე,-აი, რა იყო მაშინდელი კნეინის ხელობა, მისი საქმე და მისწრაფება..

სულ სხვა იყო გლეხის ოჯახი!.. ეს უკანასკნელი იყო ის ადგილი, სადაც მოეკალათებია შრომას, შრომას პატიოსნურს, მადლიანს, უჩირქოს.. დილიდან საღამომდი გლეხის დროს გასატარებელი ადგილი იყო ყანა-„გლეხის დიდება ყანა“, სადაც ის სიმწრის ოფლს აქცევდა, ოოხს ხელიდან არ იცილებდა.. მთელი დღე გლეხის ცოლი ჯარასავით ტრიალებდა ოჯახში: ჩეჩდა, წეწდა, ართავდა, აცხობდა, ქმართან სადილ-საუზმე მიქონდა და სხ.. დილიდან საღამომდი გლეხის ბავშები შინაურ ცხოველებთან ატარებდენ დროს მიდორ-ტყეებში. დიახ! გლეხის

ოჯახი წარმოადგენდა იმ ადგილს შრომისას, სადაც უსაქმოთ დროს დამკარგველ ოჯახის წევრს ვერ იპოვიდით.

აქიდან თავისთავად ცხადია, რომელი ოჯახი, როგორ იმოქმედებდა ახალ-გაზდის ბუნებაზე, მის ზნე—ხასიათზე. რასაკვირველია, ის ოჯახი, სადაც შრომა იყო გამეფებული-გლეხის ოჯახი. ამ გარემოებას თვით აკაკიც აღნიშნავს: „არ შემიძლია არ გამოვტყდე, ამბობს იგი, რო, თუ კი რამე დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რო მე სოფელში ვიყავ გაბარებული და ერთად გლეხების შვილებთან ვიზდებოდი. გლეხის ოჯახი, ამბობს მგოსანი, დილიდან საღამომდი სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და, ამიტომაც, ბავშის გძნობა-გონება ყოველთვის გართულია“.

დიახ! ღიშესანიშნავია ის გარემოება, რომ აკაკი გლეხის ოჯახში იზდებოდა. მას ბავშობიდანვე ჩაენერგა გულში შრომის ფასი, გაეცნო გლეხის ყოფა დგომას, მის ბედსა და უბედობას; მომავალმა მგოსანმა ბავშობიდანვე ბუნების კალთაზე, თავის მეტოლე გლეხის შვილებთან, გაატარა უდარდელი ხანა.. აქ შეისწავლა და შეითვისა ხალხური ლექსები, თქმულებანი, ზღაპრები, გამოცანა—ანდაზები, გაეცნო შვენიერებით სავსე ბუნების სურათებს, ტყეს, მიდვრებს, მდინარეებს, ცხოველებს, ფრინველებს, ბულბულის სტვენას.. ყველა ამას ძნიშვნელობა მიეცა შემდეგში, როცა თვისი უკვდავი ჩანგის ერთ—ერთ საგნათ გაიხადა თვისი კარგი ნაცნობი მშობელი გლეხი, მისი ოჯახობა და სხ. დასხ. ბუნების სურათები.

მამის ხახლში რო გაეტარებია აკაკის ბავშობის ხანა, ვინ იცის, იქნება გზასაც კი აცილდებოდა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი. ვინ იცის, როგორ იმოქმედებდა მაზე ის სურათები ლხინისა და ზეიმისა, ტყვილა ყოფნისა და ძილისა, რომელიც გამეფებული იყო მაშინდელი თავადის სასახლეში. ვინ იცის, იქნება, ნაცვლათ მოხითხითე კალმით შეიარაღებულ ჭეშმარიტების მქადაგებელისა, გულით და სულით ნამდვილი მამული შვილისა, მარგალიტი ლირიკულ ლექსების შემთხზველისა;- გამოვიდოდა კათხა-ყანწების, ქორ-მეძებრების და აყალ-მაყალის მოტრფიალე ადამიანი. ვინ იცის, იქნება, დედა აკაკისა, თვისი ადამიანურ-დედობრივი სურვილის წინაღმდეგ, ველარც-კი შეძლებდა დაეხსნა თვისი მომავალი დიდება იმ „აყროლებულ ტბაში„ გადაჩეხისგან, რომელში გადაჩეხას ვერ აცდა არა ერთი და ორი ჩვენი მოწინავე წოდებისა! ..

ჭეშმარიტებაა, რო დიდებულ ადამიანების აღზდა—გავითარებაში საკვნობელ როლს თამაშობენ დედები. ეს უკანასკნელები, თუ რასაკვირველია, ჭეშმარიტი ადამიანები არიან, უნერგავენ თავიანთ შვილებს ბავშობიდანვე: კაცთ-მოყვარობას, აფაქიზებენ მათ ზნეობას, აღვიძებენ სარწმუნოებრივ გძნობას, ავარჯიშებენ მათ გონებას, აყენებენ საიმედო გზაზე და, ამგვარათ, უმზადებენ თავიანთ შვილებს საუკეთესო მომავალს. არა ერთი და ორია ამის მაგალითი სოფლიო ისტორიაში; არა ერთი და ორია ამის მაგალითი ჩვენი ერის ისტორიაშიაც. ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ აკაკის დედას, რომელიც ძველი კნეინების რიცხვს არ ეკუთვნოდა, დიდი ზეგავლენა ექნებოდა ჩვენ საყვარელ მგოსანზე, მაშინც-კი ბავშობის ხანა რო გაეტარებია მას მშობლების სახლში.

ვინ არ იცნობს აკაკის დედას!.. ეს უკანასკნელი იყო ჭკვიანი ადამიანი, ქართულათ გაზდილი, მწიგნობარი, ჩვენი ძველისა და ახალის კარგი მცოდნე, მოხელესაქნარე, მეოჯახე, მკურნალობის შვენიერი მცოდნე; იყო კაცთ-მოყვარე და სწორეთ ეს თვისება აიძულებდა მას სრულიათ უსასყიდლოთ მიეცა წამალი ღარიბ და საწყალობელ ავათმყოფების თვის, რისთვისაც მან „დედა მფარველ მკურნალის სახელი დაიმსახურა„. ეს დიდებელი ადამიანი ნამდვილ „დედა მფარველათ“ მოევლინა პატარა კაკოს, მომავალ დიად აკაკის.

აკაკემ ქართული წერა-კითხვა პირველათ ოჯახშივე, დედის ხელმძღვანელობით ისწავლა. დედამ გააცნო ის „ვეფხის ტყაოსანს„ დედამ შეაყვარა მას ჩვენი წარსული, დედამ შეაყვარა სამშობლო ენა.. ერთი სიტყვით, აკაკის დედა იყო ერთი მიზეზთაგანი, რომლის, წყალობით

ეს დიდებული მგოსანი გადაგვარების გზას ასცდა. აკაკის დედას წილი უდევს მგოსნის მომავალ დიდების შექმნაში... ეს ყოველ ეჭვს გარეშია!.

———

რვა წლის ვიყავი, ამბობს აკაკი, როდესაც სოფელს მომაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადამიყვანეს. აქ თავდება ჩემი ბავშობის პირველი ხანა **ბედნიერი, ნაყოფიერი** და **დაუვიწყარი.** აქიდანვე იწყება მეორეც: **მტანჯავი, დამჩაგვრელი** და **გამაუკუღმართებელი.**"

ყურათღების ღირსია მგოსნის გძნობიერი გულიდან ამოხეთქილი სიტყვები: ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი (პირველი ხანა). მართლაც, ბედნიერი და ნაყოფიერი იყო ბავშობის ხანა აკაკის ცხოვრებაში: სოფელში გაიფსკვნა მტკიცე საძირკველი მისი მომავალი დიდების შენობისა...

უფრო ღირსშესანიშნავია მგოსნის სიტყვები: **მტანჯავი, დამჩაგვრელი** და **გამაუკუღმართებელი.** აი, რა ეპიტეტებით შეამკო მგოსანმა მეორე ხანა-ხანა მოსწავლეობისა. ეჭვი არაა ეს სიტყვები წარმოათქმევია მგოსანს იმ არა სასურველმა მდგომარეობამ, რომელშიაც იმყოფებოდა მაშინ ქართული სასწავლებელი, თუ შეიძლება ეწოდოს მას, ქართული. მგოსანიც გაება იმ ნიჭიერათ დაგებულ მახეში, რომელშიაც ფხარკალობდა არა ერთი და ორი ქართველი მოსწავლე ახალგაზდა. მგოსანმაც იგემა იმ „რაღაც უცნაური ძალის" გალესილი წამლის გემო, რომლის წყალობით ქართველ მოსწავლე ახალგაზდობის დიდ უმრავლესობას სრულიათ ეკარგება „ძალა" სამშობლო ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესასწავლათ. . აკაკიც იზდებოდა იმ სასწავლებელში, სადაც სამშობლო ენა იჩირქებოდა და იჩირქება დღესაც, სადაც ქართველი ახალგაზდის გონება სამშობლო ენაზე წრთვნა—გავითარებას მოკლებული იყო და არის და, სადაც ქართველი მოსწავლე ახალგაზდობისგან ქმნიდენ მონებს, მორჩილებს, საცოდავ „ჩინოვნიკებს"...

მიუხედავათ ამისა, აკაკი ვერ დაიმონა ქართველი ახალგაზდის გძნობა-გონების გამანადგურებელმა ატმოსფერამ.. „მტანჯავმა, დამჩაგვრელმა და გამაუკუღმართებელმა" ხანამ აკაკის ვერ წარმოათქმევია ის სამარცხვინოსიტყვა-წინადადება: რა არი სამშობლო ენა, რა ყრია სამშობლო ისტორიასა და ლიტერატურაშიო, რომელ სიტყვებსაც საქმეთ აქცევდა და აქცევს დღესაც არა ერთი და ორი ქართველი მოსწავლე ახალგაზდა.

როგორც დღეს, ისე აკაკის მოწაფობის ხანაშიაც არავითარ მშობლიურს არ ქონდა ალაგი ჩვენში არსებულ სასწავლებლებში. მარა, მიუხედავათ ამისა, აკაკიმ ძლიერ კარგათ შეისწავლა სამშობლო ენა, სრულის ენერგიით დაეწაფა სამშობლო ლიტერატურასა და ისტორიას სხვა ერთა ლიტერატურასა და ისტორიასთან ერთად...

დიახ! „მტანჯავი, დამჩაგვრელი და გამაუკუღმართებელი" რეჟიმი იყო გაბატონებული აკაკის დროს სასწავლებელში. ბევრი, ძლიერ ბევრი ახალგაზდა ისხვერპლა ამ რეჟიმმა, ბევრი, ძლიერ ბევრი გადაიჩეხა გადაგვარების ჯურღმულში. მხოლოთ ერთეულები და, მათ შორის, ჩვენი სიამაყე—აკაკი, ძლიერი ბუნებრივი ნიჭის წყალობით, აცდენ გადაგვარების გზას..

ყველა ზევით ნათქვამის შემდეგ, ვიტყვით: ის გარემოება. რომ აკაკიმ ბავშობის ხანა გაატარა გლეხის ოჯახში, სადაც გაბატონებული იყო შრომა, შრომა პატიოსანი; ის გარემოება, რომ აკაკის დედა ნამდვილი ადამიანი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; ის გარემოება, რომ აკაკი უხვათ იყო დაჯილდოებული ბუნებრივი ნიჭით, მდიდარი ფანტაზიით, რომლის ზრდა—გავითარებაზე, უეჭველათ, იმოქმედებდა მგოსნის სამშობლო სოფლის მომხიბვლელი ბუნება,—ყველა ეს, ვიმეორებ, იყო ის ხელსაყრელი პირობანი, რომლითაც იხსნა აკაკი გადაგვარებისგან...

აკაკი დაიბადა შავ ხანაში და გაანათა შავ ხანაში... ნახევარი საუკუნე ემსახურა „ცა—ფირუზხმელეთ ზურმუხტ" მხარეს.. მშობელი ერის სამსახური იყო მისი „წმიდათა—წმიდა".. ამ საქმეს ანაცვალა მან ყველაფერი.. ამ საქმეს შესწირა მან ძალა, ღონე, დრო, შრომა, ნიჭი. ამ საქმის სიყვარულით

გატაცებული, იგი არ შეუშინდა ათასგვარ უსიამოვნობას და უმსგავსო ადამიანების უმსგავსო მითქმა მოთქმას.. აკაკიმ კიდევაც მიაღწია მიზანს: მან გამოაფხიზლა მშობელი ერი საღ-ითა ძილისგან, დააყენა სწორ გზაზე, მიუთითა ბწყინვალე მომავალზე...

მადლიერმა თანამემამულეებმა მიუძღვნეს დიდებულ ადამიანს სამაგიერო სიცოცხლეში, მიუძღვნეს ნაცვალი სიკვდილს შემდეგაც...

აკაკის სახეს და საქმეს მუდამ ექნება ალაგი ჩვენ ხსოვნაში.. „ის არ მომკვდარა, ის ჩადნა
უკვდავათ ხალხის უბეში“.

გორგი.

აკაკი წერეთელი.

აკაკი წერეთელი ერთი იმ პოეტთაგანია, რომელიც „დაქათქათებს“ საქართველოს მოღუშულ ცას მეცხრამეტე საუკუნეში. ეს ერთი იმ დიდ მგოსანთაგანია, რომელიც უმადურობით დაჯილდოვებულის და უსამართლობით დასჯილის, „სიმწარითა გამაძღარის და ნაღვლით დამთვრალ“ ქართველის შვილის უბედურების და ჭირის ოფლის მომწმენდი იყო და ტანჯვის ცრემლების შემაშრობელი.

პირველი და მთავარი, რაც იზიდავს თქვენ ყურათღებას აკაკის შეუდარებელ სალირიკო პოეზიაში, ეს მისი აჯინებული ცალმხრივობა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთ-საგნობა მისი მადლიანი კალმისა, რომელიც, რასაკვირველია, როდი ნიშნავს ერთფეროვნებას.

„ფერმიხდილი საქართველო“, „ცხრაკლიტულში მჯდომარე ნესტანი“, „მიჯაჭვული ამირანი“ და, მათი სვე-ბედი, აი, რამდენიმე სახით გამოთქმული ერთი და იგივე საგანი იმ დიადი გძნობისა, რომელსაც ეწოდება მამულის სიყვარული და რომელსაც ემსახურება ღვთივ შვენიერი ქნარი აკაკისა. ათასგვარათ, ნაირნაირათ შეფერადებული, ალმასებრივ მრავალ ფერათ ბჭყვიალა მისი მუზა, ათასნაირი ხმატკბილ სიმფონიის გამომცემი მისი თარი, მრავალგვარათ მეტყველი და მკვნესარი მისი სალამური, უცნაურათ მოწკრიალე მისი ჩანგური ერთსა და იმასვე დატირის, შეხარის, დაკვნესის და შეტრფის „თავზე ლეჩაქ მოხდილ, ფეხშიშველ სატრფოს“. რასაც უნდა შეეხოს მისი ღვთივ ბედნიერი ალმაფრენა, რასაც უნდა მიაქციოს ყურათღება მისმა წინასწარმეტყველურმა თვალმა. ყველგან იგი ხედავს „გაიძვერა მოყვრისგან“ მოტყუებულ, შეცდენილ სატრფოს და მას ემუდარება გამოარკვიოს და მტერი მოყვრისგან გაარჩიოს.

იარაღი სატრფოს მისაშველებლათ და სასამსახურათ მას ერთად ერთი აქვს და ამ იარაღს აძლევს იგი უპირველეს მნიშვნელობას.

ეს არი მისი ჩანგური
ქვეყნის ჭირი და ლხინიო,
სამშობლოს სისხლი და ხორცი,
მისივე ნაღველ ტვინო.

მარა, როცა სასოწარკვეთილების ხანა დგება მის სულის სამეფოში, როცა ბედს წყევლის და განგებას ეჩიდება, მაშინ ხანჯალსაც მიმართავს და მას ხადის „ერთადერთ იმედათ მტრისგან გამოხსნისა“.

ყოველივე ადამიანური და მით უმეტეს პოეტური ზრახვა და ფიქრი აკაკისა ერთისკენ მიისწრაფვის, ერთისკენ მიილტვის.

ნურავინ-კი იფიქრებს, რომ ეს აჯინებული, ნიადაგ გამეორებული ერთი და იგივე აზრი სამშობლოს სიყვარულისა, მამულიშვილურის გძნობისა მის პოეზიის ფთის გაშლას ერთი ბეწოთიც აფერხებდეს, მის აფერადებას, სხვადასხვა გვარათ გაბწყინვებას ხელს უშლიდეს.

პირიქით, სწორეთ ეს ერთნაირობა საგნისა საშვალებას აძლევს მის ჯადოსნურ, „ბედნიერ“ ნიჭს მთელი სიგძე სიგანით გაიშალოს, მთელი თავის ძლიერებით მოგვხიბლოს და ზეაღგვიტაცოს გონება.

ცხოვრება მრავალნიარია, უკიდო და უძირო. მისი სიღრმე თვით განგებისთვის მიუწვდომელია. ყოველი თვით მცირედი ატომი სოფლისა მთელ კოსმოსს შეიცავს, შეიძლება, ცოტათი დაპატარავებული სახითაც. ყოველივე ნაწილი მოვლენისა შეიცავს მთელს სახებას ცხოვრებისას, მის დუღილს, მის მიმდინარობას და, აი, ამ ნაწილის, ამ ატომის, ამ მოვლენის

ათასგვარი მხარის დანახვება გენიოსურის ხელით ფრიად დიდი საქმეა, ფრიად მძიმე, რომელიც მარტო ღვთაებრივი ცეცხლის მოპოებულ პოეზიის ამირანს ძალუძს. ეს ითავა-აკაკიმ, მან ერთგულმა შვილმა, მორჩილმა, და მოყვარულმა მემკვიდრემ სახელოვანის, მამულის დიდების შოთასი, მისი ანდერძი უეგროთ აღასრულა. შოთამ არ ბძანა მოშაირეთა სახელმძღვანელოთ: ხამს მელექსე ნაჭირვედსა მისსა ცუდათ არ აბრკვმობდეს, ერთი უჩდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს, ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს.

და მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს.

მოგახსენეთ, ეს ანდერძი აკაკიმ შეასრულა დიდებულათა და ღირსეულათ, უნაკლულოთ, სწორუპოვრათ. ერთი უჩდა მას მთელ თავისს სიცოცხლეში სამიჯნუროთ; ყოვლსა მისთვის ხელოვნობდა, მას აქებდა, მას ამკობდა და ეს იყო „ქაჯთაგან გატაცებული ნესტანი", რომელსაც ველათ გავარდნილი მისი ტარიელ დაეძებდა. ამ სამშობლოსთვის „მუსიკობდა ენა მისი" და მერე რანაირის მარტივის, სადა ჰანგებისგან იყო შემდგარი ეს მუსიკალური სიმფონია.

მას, ვისთვისაც ერთხელ მაინც ურგუნებია ბედს პრაქსიტელის ლუსკუმნების ნახვა, ფილიასის შემოქმედობის დამსხვრეულ ნატეხთა დათვალიერება მიქელ ანჯელოს, რაფაელის ტინცორეტოსა და ტიციანის უკვდავ ტილოთა ხილვა, იცის და შეურყეველათ შესწავლილი და დამტკიცებული აქვს, რო ჭეშმარიტათ რაიმე დიადი, ნამდვილათ ღვთაებრივი ხელოვნებაში სადაა და მარტივი, ვით სული ობოლი, უბრალო, ვით პიტალო ქვა მარმარილოსი, უპრეტენზიო, ვით ციცი ტილო სუდარისა.

და იცით რო ხელოვნების გავითარების იდეალი სწორეთ ეს სისადავეა და სიმარტივე.

და დიდი ხნის ეკლიანი გზით სვლაა საჭირო ხელოვანთა ქურუმთათვის, ვიდრე მიაღწევდენ ამ იდეალსა.

საუკუნოები იყო საჭირო, რომ უხეში და გაუთლელი ძველი სკულპტურა პრაქსიტელის ხელში შექნილიყო დიად მარტივ ხელოვნებათ, რამდენი შრომა და ცდა იყო, რო პრაქსიტელს შეძლებოდა რამდენიმე ჩაქუჩის ამოკვრით მიეცა თვისი სერმესისთვის სახე ადამიანის ცხოვრების მარადიული სურათისა.

რამდენიმე ასი წელი იყო საჭირო, რო ბიზანტიურ მხატვართა დამანჭულ დაგრეხილ ბიბლიის სიუჟეტები, რომელიც უხვათ მოიძებნებიან ვენეციის წმ. მარკოზის ეკლესიის ფრესკებში—რაფაელისა და მიქელ—ანჯელოს ხელში, ერთი კალმის მოსმას გარდაექცა ზეაღმტაც ღვთაებრივ ქმნილებათ...

მთელი დღეინდელი მოძრაობა ფუტურიზმისა, კუბიზმისა და სხვა მაგვარ ხელოვნებაში სხვა არა არი რა, თუ არ ის ძიება მორალურ ხელოვნურის სიმარტივისა, ის ჭაპანწყვეტა ბიზანტიურ მხატვართა დიდი ხელოვნების სადა და მარტივ ფორმათა მიღწევისა და, აი, როცა, ამას შემდეგ, ქართულ პოეზიას აიღებთ და აკაკის ლექსებს გადაათვალიერებთ, თქვენ ნახავთ, რომ ეს საუკუნო მოთხოვნილება ხელოვნებისა აქ სავსებით არი დაცული და, რო ქართველ ერის მუზასაც საუკუნოების მთიებ შორის უნდა ეფრინა, რო მიეღწია პარნასის ასეთ უმწვერვალესობამდი და შეექნა ესეთი მაღალი მინუშები პოეზიისა.

ავიღოთ, თუ გნებაავთ, აკაკის ცნობილი „ავათმყოფი" და გავიხსენოთ მისი პირველი ორი სტრიქონი:

არ მომკვდარა, მხოლოთ ძინავს,
და ისევე გაიღვიძებს..

ერთი სიტყვა არ არის აქ, რო სრულიათ უბრალო, სრულიათ მარტივი, თითქმის შაბლონური არ იყოს. მარა ღვთაებრივი სულით არი გაჟღენთილი და წინასწარმეტყველური ცეცხლით დამწვარი. თქვენ გულში ყოველი სიტყვა შედის, ვით ღვთაებრივი ნეკტარი, თქვენს ტვინში ყოველი წინადადება ნეტარების ლურსმებით იჭედება.

ავიღოთ მეორე ლექსი კიდევ.

„დამეხსენი, ოსმალელო, რა გაქვს ჩემთან საზიარო,

თვით ოხერო, მოუვლელო, როგორ
გინდა მომიარო!?

აბა, მიჩვენეთ ერთი სიტყვა, რომელსაც ყოველ წუთში ყველა არ ხმაროობდეს, სალონი იქნება იგი არისტოკრატული, თუ ინტილიგენტის კაბინეთი, მედუქნეთა დახლი, თუ დიპლომატთა მაგიდა, კეთილშობილ ქალთა პანსიონი, თუ ჯარის კაცთა ბინა. სალონში უთუოდ ყოველდღე აღიძრება საკითხი, „როგორ გინდა მომიარო“, დიპლომატთა შორის ,, დამეხსენი ოსმალელო‘‘, ინტელიგენტი ნიადაგ იმეორებს, ,,რა გაქვს ჩემთან საზიარო‘‘, ხოლო დუქანში ,,თვით ოხერო მოუვლელო‘‘. ეს არი ყოველდღიური ლექსიკონი ჩვენ უბრალო მიწაზე მღოლავთა, მარა უკვდავი მგოსნის ხელში იგი იქცევა მთელ არმონიათ აზრთა და გძნობათა, მთელ პოლიტიკურ მოძღვრებათ, საეროვნო კვნესათ და საზოგადობრივ ვაებათ.

მისი მეტაფორები, მისი ალეგორიები „ნესტან დარეჯანი ქაჯებს ყავთ“, „ველათ გავარდნილი ტარიელი“, ამირანი მიჯაჭვული — უნიჭო ანა და მცირე ნიჭის პატრონ მწერლის ხელში მოსაწყენ გამეორებათ იქნებოდა მიღებული — მარა, რაღაც ჯადოსნური უხილავი ძალა, ის ძალა, რომელიც თიხიდან ქნის შვენიერ არსებას ადამიანისას და ქაოსიდან თვალ-წარმტაც ბუნებას — ეს ძალი იმფერათ ავარაყებს, მუზათა მიერ გამართულ ქარგაზე იმნაირათ ქარგავს იმ სიტყვებს, რო ტანჯულის ერის შვილთა აღმზდელი ხდება, მათი გულის მალხინებელი და სულის მეოხი.

და, ამას შემდეგ, გაგვამტყუნოს ვინმემ, თუ ვიტყვით, რო ქართველები მდიდრები ვართ, რო ჩვენი სიმდიდრე ისეთი რამ არი, რომელსაც „ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“, რომ იგი ხელ უხლებელი განძია, რომელსაც ვერას დააკლებს ვერავითარი, რამდენიც გნებავს სანტიმეტრიანი ზარბაზნები და ყუმბარები, ვერ ამოახჩობს ვერავითარი სულის შემხუთველი თოფის წამალი.

ვით რისხვამ ღვთისა გაიარა ჩვენს ქვეყანაზე თემურლენგმა და შაჰაბასმა, შემუსრა მან სიმდიდრე ნივთიერი ჩვენი ქვეყნისა, მოსპო და ააოხრა სრა — სასახლეები და ციხე ქალაქები, — მარა ვერ დაგვიკარგა და ვერ დაგვიღუპა ენა ტკბილათ მოუბარი შოთასი.

დღეინდელი დიდი და ტრაგედიული მომენტი თვალწინ გვიყენებს და გვიმტკიცებს, რო თანამედროე ტეხნიკის გამოგონილ მომსპობელ იარაღებს ვერავითარი მატერიალური სიმდიდრე ვერ უძლებს. ჩვენ ვხედავთ უკვე წალეკილ და მოსპობილს რამდენიმე ქვეყნის ნივთიერ ქონებრივ სიმდიდრეს, და ამ ქვეყნებს უკვე გაღატაკებულს გაცამტვერებულს — მარა ვერავითარი ძალა ქვეყნისა, ვერავითარი იარაღი ვერ მოსპობს ძლიერებას და სიმდიდრეს სულის კულტურისას.

მიუწდომელია განგება ჩვენის ბედისა. იქნებ, ქართველ ერს თავის განაწამებ ცხოვრებაში კიდევ შეხვდეს აოხრება და ხოცვა ელეტა — მარა აკაკის ლექსს ვერავინ მოგვისპობს და ხელუხლებელ განძს ქართველის სულის კულტურის ნაყოფს, ვერავინ ხელსაც ვერ ახლებს.

დეე, დაგვწიხლონ მათ, ვისაც დღეს ხელში უპყრიათ ოქროს ვერძები და თავი მოაქვთ მით — არაფერია... მოვა დრო და მათ ხელში მტვერიც არ შერჩებათ ამ კერპებისა. ხოლო ტაძარი ქართველის სულის ძლიერებისა, რომელსაც ისეთი ქურუმები ყავს, რო გორც აკაკის მუზა — შეურყეველია და უკვდავი... „მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“.

კიტა აბაშიძე.

რედაქციისაგან.

„ცხოვრების“ რედაქცია გულწრფელ მადლობას მოახსენებს თანაგძნობისა და ნივთიერი დახმარებისთვის ჩვენის მხრით სრულად შეუწყეხებლად დიდათ პატივცემულ პირთ; თავ. იოსებ იულონის ძე დადიანს, პრივატ — დოცენტს პარმენ ივანეს ძე ჭეიშვილს, ყო-

ვლად საღვდელო ეპისკოპოზს დავითს, სტეფანე სვიმონის ძე ელიაძეს და გიორგი ბეჟანის ძე გვაზავას.

შენიშვნები.*)

ღვდელ მთავრები: ანტონი, გაბრიელი და ლეონიდი.

(თხზულებანი ეპ. ლეონიდისა, პირველი ტომი, გამოც. 1914წ.)

VI

დიახ! ისევ ძველ დედებს შეხარის მქადაგებელი, რა-კი ახლებში სანუგეშოს ვერას ხედავს... მარა განსაკუთრებით სულის ძარღვების მედგრათ ცემას მაშინ განიცთის, როცა წმ. ნინოს იგონებს. რაც გინდ ნაწყენი და მწუხარეც არ იყოს, იმისი ერთი წარმოდგენა სახეს უშლის და უამებს. მიტომაც არი, რომ არ შეუძლია თავის-თავს შეურიგდეს, თუ წმ. ნინოს თვით სურათზედაც ერთიც არი მაინც შეუფერებელი წერტილი შენიშნა.—ერთ რუს მხატვარს, რომელსაც სამინუშოთ დაეხატა წმ. ნინო და მიერთმია, ხატვის ნებართვის ასაღებათ,, ღდელმთავარმა ცხვირში მიახალა მისი შექმნილი სურათი და ასე უთხრა:—„ვის ეკუთვნის ეს ჩაჭყლეტილი და წვერ ამართული, განიერი ცხვირიო? ან ვინ არის ეს გვრალი და ჩასუქებული დედაკაციო?! საბრალოვ, ერთი სარაფანი-ღა დაგიკლია, რო რუსის გოგონა გამოსულიყოო!“

წმ. ნინო და მისი მოღვაწეობა, მართლაც, რო დამაშვენებელია საქართველოს ისტორიისა! ეს შარავანდედით მოცული ისტორია შურს—სიხარბეს აძრავს მეზობელ ხალხებშიაც. ერთი ისტორიის გამჟღავნება ამბობს, რო № ხალხის მემატიანეს დახარბებია წმ. ნინოს ისტორია და თვისი მეფისთვის შეუწერია ისეთი ღვაწლი თვისი მიწა-წყალზე, როგორიცაა ღვაწლი წმ. ნინოსი საქართველოს მიწა-წყალზეო, ე. ი., თვისი მეფე გაუწმიდანინებია. ეს გამჟღავნება დაიბეჭდა კიდეც იმ ხალხის ენაზე, რომლის მეცისტორიეს საქართველოს ისტორიის უშესანიშნავესი ადგილით ურცხვათ უსარგებლებია; მარა ვერავინ უპასუხა, რომ ის მართალი არ იყო.

რუსეთის მთავრის ვლადიმირის ისტორიაც, რაც რუსების მონათვლას შეეხება, ხო ზედგამოჭრილივით ემზგავსება წმ. ნინოს ისტორის ქართველების მონათვლაზე. მარა რა შედარებაა წმ. ნინოს და ვლადიმირ მეფის შორის! პირველი იყო სუსტი, უბინადრო, უიარაღო, ისიც გადმოხვეწილი ქალი, რომელსაც სადღაც ჩირგვებში და ჯაგებში ქონდა ბინა... ამან დაიმორჩილა არა თუ ხალხი, დაიმორჩილა თვით მეფე—დედოფალ—დიდებულნიც... მეორე იყო მეფე, ძლიერი, თვისი მიწა—წყლის მვილი, სრა-პალატებში უამრავი მხედართაგან დაცული, რომელსაც, გარდა იმისა, რო ქონდა სურვილი ჯვარის თაყვანის-მცემლობა მიეღო, ხმალ—მახვილზედაც ედვა ხელი,—დაიმორჩილა ხალხი...

ვხედავთ, რო შედარება თითქმის არც შეიძლება და გასხვავება-კი ცამდი ასულია, რაც ერთობ ბევრს ეუბნება გონიერს დედაკაცს და, უმთავრესათ, იმას, რო სუსტი ქალი (ვინც ნამდვილათ ქალია) ძლიერ კაცზე უფრო ძლიერია და ასეთ ქალს სადაც არაფერი აქვს მამაკაცთან, უფლების შესახებ... ამ სახით, მოციქულთ სწორი ნინო, რომელმაც თვისი ღვაწლი და ისტორია აჩუქა საქართველოს, ერთნაირათ სათაყვანოა, ვით დიდებულის, ისე სულ უბრალო მომაკვდავისთვისაც... მარა—ჰმ!... ეს ღვთის მიერ რჩეული ჭური მივიწყებულიც იყო... თუმც უკაცრავათ არ ვიქნებით, თვით საღვდელოების უმრავლესობამაც არ იცოდა, რა დღეს ხვდებოდა მისი ხსენება!... დღეს?—დღეს-კი თითქმის ყოველმა შეგირდმა და თვით გონიერმა სოფლელმაც კი იცის, რო 14იანვარი ოქროს ანბანებით არის აღნიშნული ივერიის ეკლესიის ისტორიაში. დღეს ქართველი სიხარულით ეგებება, მიეჩქარება ეკლესიაში და დღესასწაულობს, ვით ეკლესიას დაუწესებია... მარა ცოტაა ეს. გავი-

*) ის. „ცხოვრება“, №2-3, 1915წ.

თარებულ საზოგადოებას ეს დღე „სახალხოდაც“ გარდუქმნია. ყოველ ნინოობა დღეს იმართება ქალაქებში, ასე წოდებული, „საღამეოები“, სადაც ცოცხალი ნახატებით აჩვენებენ წმ. ნინოს ცხოვრება—მოღვაწეობიდან ისეთ ადგილებს, რომელიც ლხენა—სიამეს გვრის კაცის გულს, კრთოლვა და ცახცახს უყენებს ტანში. ამ სახით, წმ. ნინოს ცხოვრება—მოღვაწეობის ისტორიის ცოდნა მდაბიო ხალხშიაც მოეფინა და ეს, უმთავრესათ, ეპ. ლეონიდს უნდა დავუმადლოთ: საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში მას მოკიქულებრივი ღვაწლი გაუწევია და, როგორც ჩვენი წმიდანების ტრფიალს, 14იანვარი მიზანში ამოღებია და ეს მიმკვდარებული დღე კვლავ ისევ აღუდგენია. რაც სიტყვები მას წმ. ნინოზე უთქვამს და ცალკე ფურცლებით დაუბეჭდავს ხალხში გასავრცელებლათ, შევაგროვოთ, მივიღებთ მოზდილ წიგნს, რაც დიდი შემატება იქნებოდა ივერიის ეკლესიის ღარიბი მწერლობისთვის. მარა ამას რო თავი გავანებოთ, მისი მოძღვრებათა პირველ კრებულშიაც ზედიზედ ათი სიტყვა მოუთავსებია წმ. ნინოს სახელზე. ეს სიტყვები, გარდა იმისა, რო სარწმუნოებრივი ხასიათისანი არიან, სამშობლოს სიყვარულის ცეცხლითაც არიან აღგზნებულნი... მსურს ამოვწერო ზოგი ადგილები ამ სიტყვებიდან. მარა, რომელი? განა ყველა! არა, უკეთესია, მკითხველმა ხელში აიღოს ეს კრებული მოძღვრებათა და გული გაითბოს სამშობლოს მოყვარული შვილის მიერ დანთებული ცეცხლით... მარა დღეინდელი მკითხველების დიდ უმრავლესობას გმირობათ მიაჩნია ასეთი რამეებიდან ერთი ფურცელი, ან ერთი მოძღვრება წაიკითხოს!... მარტო საააქაოც რო წარმოვიდგინოთ, იმ შემთხვევაშიაც ყოვლათ შეუძლებელია ასეთი გამართლება. კი, მართალია, რა-კი სული არა სწამთ, არ გონიათ, სასულიერო შინაარსის წერილების კითხვა საჭირო თუა. მარა სულის უარისმყოფელი მარტო სულის უარისმყოფელი როდია, იგი ხორციისაც უარისმყოფელია. ცოტა დაკვირებაა საჭირო, რო თვალში გვეცეს დაგმობილი ხორციელი ცხოვრება სულის უარისმყოფელი პირისა. დავუშვათ, რომ არ არი სული, ის სული, რომელიც ხორცის სიკვდილის შემდეგაც აგძელებს ცხოვრებას. მარა ის ხომ ან-ბანური ჭეშმარიტებაა, რომ არის სულიერი ცხოვრება; ხომ არ შეიძლება უარისყოფა იმისაც, რო კაცის ასეთი, თუ ისეთი ყოფაქცევა, მიმართულება და მიდრეკილება მისი სულიერ ცხოვრებაზეა დამოკიდებული! ამის უარისყოფა არ შეიძლება და, თუ საჭიროა კაცი ყოფაქცევით გაკეთილშობილდეს, გაფაქიზდეს და ხასიათით ამაღლდეს, საჭიროა სულიერი ცხოვრების **მეცნიერათ** გახთეს, რაც ზოგი აღმძვრელი წერილებიდან არ ამოიღება. ადამიანში არსებობს, ასე წოდებული, ნება, რაც ჭკუას უნდა ყავდეს დაქვემდებარებული, ვით აღვირს—ცხენი. პირუკმო, დაუქვემდებაროს კაცმა ჭკუა ნებას და მის დაღუპვისგან არა იხსნის-რა. ზოგს არ შეუძლია ნებას გასაგზლრული თავისუფლება არ მისცეს—არ იკითხოს აღმძვრელი წიგნები (ვამბობთ ახალგაზ და მკითხველებისთვის). მარა ამაში ცოდვა იმდენი არ არი, რამდენიც იმის საწინააღმდეგო წერილების არ კითხვაშია. როცა კაცი აღმძვრელ წერილებს კითხულობს, იმ წამს იმისი ნებაც აღვირ წახნილია, მაშინ ჭკუა-გონება ვერ იმორჩილებს ნებას. გაგძელდეს ასეთი წერილების კითხვა და ადვილია კაცი დონკიხოტათ გახთეს. მარა საწინააღმდეგო წერილების კითხვით-კი ჭკუა-გონებას მეორე წამსვე ძალა ეძლევა, ნება ალაგმოს და მით ხორციელი ცხოვრება არ დაღუპოს. ამ მხრით, მაინც საჭიროა კაცმა წაიკითხოს გონივრული მოძღვრებანი, რომელშიაც ხორციელი ცხოვრების დავიწყებას სრულიათაც არ გვირჩევს მოძღვარი, მხოლოთ ცხოვრებისა-კი. მარა აქაც ერთი შეცთომა არ კვდება: —„აბა რა თავში ვიხლი მაგგვარ წიგნებს, როცა ცხოვრების გზა და კვალი უმისოდაც არ მებნევაო,“ —იტყვის ზოგი. ღმერთმა კაი მოგცეთ! იქმება ეს ასეც იყოს!..

რედაქტორ-გამომ(ცემელი რომანოზ ფანცხავა.

საპოლიტიკო, სალიტერატურო, ყოველდღიური გაზეთი

„მეგობარი“

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისთვის

წელიწადში ღირს 9 მან., ნახევარი წლით—5 მან., სამი თვით—2 მ. 3 აბაზი., თვეში—18 შაური, ცალკე ნუმერი ყველგან—შაურათ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ ნაწილად: ხელის მოწერის დროს—3 მ. ნახევარი, 1 აპრილს—3 მ., 1 აგვისტოს –2 მ. ნახევარი.

ნახევარი წლის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ორ ნაწილად შემოიტანონ ფული: პირველად—3 მან., 1 აპრილს—2 მან.

წლიური ხელის მომწერ. მიიღებენ პრემიად

გ. მაიაკოვსკის პრეზულს

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“,

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი— 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტრეთები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეთები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. თ. ტინტაძე.